# თავისუფალი საქართველო

№18
1 -14 სექტემბერი
1995 წ.

ფასი 1000 რუბლის შესაბამისი კუპონი

ინდექსი 66421
სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## ბრძოლა თავისუფლებისთვის

### "სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი"

ჩვენ სამი დროის შვილები ვართ:

- დროისა, როდესაც არა ოდენ ყოფა-ცხოვრება, არამედ თავად საწყისი სიცოცხლისა ნეტარი სიცრუით იყო შებურული და ყოველი არსი თუ საგანი მხოლოდ ჩვენი ირონიის წყალობით იძენდა პიროვნულ ნიშანწყალს.

- დროისა, როდესაც ჩვენი შებორკილი ენერგია ერთბაშად ამოიფრქვა და, ურჩთ შვილთა წყალობით, ამქვეყნად ყველაზე სანუკვარ იდეას - სამშობლოს სიყვარულს შეელია.

- და დროისა, როდესაც სიკეთე და ბოროტება, რწმენა და ურწმუნოება, სიბრძნე და სიცრუე, უნაპირო სიმდიდრე და უკიდურესი შეჭირვება სისხლიანი ზღვარით გაემიჯნა ერთურთს.

ჩვენ ეს გზა გავიარეთ - თითოეულმა ჩვენი რწმენისა და უნარის შესაბამისად. ზოგმა ყოველდღიურობაზე ფიქრით და ზოგმა ქვეყნის ბედ-იღბალზე ცრემლთა დენით; ზოგმა დამკვირვებლის პოზა აირჩია, ზოგი კი - შეურიშმიუცემლად გადაეშვა მორევში. გზად ვინ რა იტვირთა: ზოგმა - დანაშაული, ზოგმა კი - ტანჯვა და შეჭირვება. ბევრი შეეწირა, ბევრიც გაიწირა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მსხვერპლი გველის წინ.

მაგრამ, სურს თუ არ სურს მავანს, ამ გზაზე ნათლისვეტად გამოიკვეთა ერთი აზრი, ერთი იდეა, ერთი სულისკვეთება, რომელშიცაა თავად სიცოცხლის საწყისი - ბრძოლა თავისუფლებისთვის.

* * *

რა ვიცოდით ჩვენ, კონფორმიზმისთვის განწირულთა თაობებმა, თუ ეს გზა ამდენ ტკივილსა და ამდენ სიხარულს, ამდენ სიბინძურესა და ამდენ სისპეტაკეს გვიქადდა. რა ვიცოდით, თუ არჩადენილ დანაშაულთა აღიარების ყოდვას გადაამეტებდა არაღიარებული დანაშაულით მოპოვებული წარმავალობა. და საერთოდ, რა ვიცოდით?! ჩვენ ვეწაფებოდით ყველაფერს აკრძალულს და ნაკლებ ვუფიქრდებოდით მის საწყისსა და არსს. ჩვენ ვისწრაფოდით ჩვენი ქვეყნის ჩაკეტილი საზღვრის მიღმა და არც კი გვეგონა, რომ ოდესმე ეს ჩვენთვის სასჯელის უმაღლესი ზომა გახდებოდა. ჩვენ გვიყვარდა რთული ლიტერატურა და რთული მეტაფორები, რომელთა ავტორიტეტული მქადაგებლები, თურმე, ძალადობის პრიმიტიული მექანიზმის სამსახურში იდგნენ. ცოდვა მრავალი ფერით ელვარე და საამო ჰანგებით მჟღერ, სიცოცხლის გამომნიჭებელ წყაროდ გვესახებოდა, ხოლო მადლი - ჟამისფერ, მოსაწყენ ფერადად; ბოროტება - ძნელად დასაუფლებელ, იშვიათ საუნჯედ, ხოლო სიკეთე - ულიმღამო სიმარტივედ, რომელსაც არც არავინ ეტანება და ამდენად, ადვილადაც მოიპოვება.

ჩვენ ასეთები ვიყავით, მაგრამ დრო და ქვეყანა, რომელში გაჩენაც გვარგუნა უფალმა, ჩვენი ნების მიუხედავად, საფრთხით ემუქრებოდა ამ ფასეულობებს. და ეს საფრთხე იყო - ბრძოლა თავისუფლებისთვის!

* * *

მექანიზმი, რომელიც ჩვენს გარშემო ტრიალებს, ყველაზე მეტად ცდილობს დაუმორჩილოს ადამიანის ცნობიერება საერთო განწყობილებას, რომელსაც ინტელექტუალებმა ნიჰილიზმი უწოდეს. თითქმის ყველაფერი, რასაც წარმოქმნის ეს საზოგადოებრივი მანქანა, არსებობს, რათა ირწმუნო ნიჰილიზმი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია, ემსახურო მას და იმსახურო სხვანი მისი მრავალსახოვანი, ორიგინალური, დინამიკური, მაცდური წიაღსვლებით აღჭურვილმა. ჩვენ, ადამიანებს, გვგონია ხოლმე, რომ სამყარო ყირავდება მხოლოდ აქ, ჩვენს გარშემო და ამ დროში, რომელიც გვერგო. მაგრამ სამყარო მარადჟამს ასეთ უხერხულ მდგომარეობას ამჯობინებდა და თავისი ულმობელი, ცხოვრებისეული ლოგიკით ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ მთავარია, მოახერხო და არ დასრიალდე მის დამრეც კალთებზე ქარტეხილების დროში - აი, ის ერთადერთი, რასაც ჩააგონებს ადამიანს რეალობის შემოქმედი საზოგადოებრივი მექანიზმი. ჩააგონებს და არა მხოლოდ. იგი ქმნის გარემოებებს, რომელიც აიძულებს ადამიანს იმოქმედოს შესაბამისად და თავად გახდეს ამგვარ გარემოებათა შემოქმედი.

და დაყირავებული სამყარო ივსება მექანიზმის ახალი ნაწილებით, რომელთა ერთობლიობა უკვე თვითმოქმედ სისტემას ქმნის. სისტემას მტკიცესა და მძლავრს, რომელშიც შენ - ერთი ადამიანი, ვერაფერს შეცვლი მანამ, სანამ არ შეეცდები მისგან გათავისუფლებას და სანამ ეს აზრი არ გახდება შენში ყველა სხვა აზრზე ძლიერი, სანამ არ იქცევა ერთადერთ მიზნად და სანამ არ მიხვდები, რომ სისტემაში შენი ცხოვრება შეუძლებელია. და მაშინ იწყება ბრძოლა თავისუფლებისთვის!

* * *

შემზარავ სურათში გარინდებული სამყარო კვლავ პირვანდელი ქაოსისკენ მიილტვის, კვლავ ესწრაფვის ჭეშმარიტებასა და სიყალბეს შორის აღმართულ მიჯნაზე გადასვლას, კვლავ ცრუჰარმონიისკენ მიგვაქანებს, კვლავ ცდილობს ჩვენს ჩათრევას თავისი დაყირავებული ლოგიკისა და ფასეულობების ორომტრიალში.

მაგრამ ჩვენ უკვე გავაკეთეთ არჩევანი და მივიღეთ ეს გამოწვევა, მივეგებეთ საფრთხეს და შევიცანით ნეტარება ერთიანობის, რომელიც თითოეულის ძალისხმევით მიიღწეოდა. და ნეტარება იგი იყო ყოველ ჩვენგანში აღდგენილი თავისთავადობა და ღირსება ჩვენი სამშობლოსი - ერთისა მთლიანში და მთლიანისა ერთში.

ამ ზღვარზე იბადება ახალი რეალობა - ბრძოლა თავისუფლებისთვის! ამ ზღვარზე იბადება ახალი ადამიანი - თავისუფლებისთვის მებრძოლი!

* * *

და იწყება ბრძოლა თავისუფლებისთვის მებრძოლთან!

## შესაძლებელია თუ არა პროვოკაცია

რას უნდა ველოდოთ წინასაარჩევნო პერიოდში - სარეკლამო "ფოკუსებს" ელექტროენერგიის, გაზისა და პროდუქტების სახით, თუ პროვოკაციას, რომელიც საშუალებას მისცემს მმართველ ელიტას რეპრესიების გზით უზრუნველყოს ძალაუფლების სრული უზურპაცია? ამ კითხვებს არაოფიციალურად უკვე სვამენ რიგი დამკვირვებლები და იქვე პასუხობენ, რომ არ არის გამორიცხული ორივე ვარიანტი. უმრავლესობის აზრით, პირველის შესაძლებლობა უფრო საეჭვოა, ვინაიდან ხელისუფლება, უბრალოდ, ვერ ფლობს სათანადო რესურსებს, რათა თუნდაც მოკლე ვადით სრულად უზრუნველყოს მოსახლეობა მონატრებული მომსახურეობით და შექმნას ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის ილუზია. ამაზე მეტყველებს ბოლოდროინდელი "რეფორმისტული" ცვლილებებიც განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მიუხედავად ამისა, პერიფერიაში, ცალკეულ საარჩევნო უბნებში და, შესაძლოა, მთელ რეგიონებშიც (მაგალითად, ლტოლვილების კომპაქტური დასახლების ადგილებში და ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის მიმართ) უნდა მოველოდეთ საგანგებო წინასაარჩევნო პირობებების შექმნას.

რაც შეეხება პროვოკაციებს - ეს ბერკეტი ყოველთვის ინტენსიურად გამოიყენებოდა ბოლშევიკური ტიპის მმართველობის ქვეყნებში და უფრო ეფექტურ შედეგსაც იძლეოდა. პროვოკაცია იძლევა კონკურენტუნარიანი პოლიტიკური ძალების დაშინების, ნეიტრალიზების, ან სულაც ლიკვიდაციის საშუალებას. ამის მაგალითი მრავლადაა ჩვენს (და არა მხოლოდ ჩვენს) ისტორიაშიც და უახლეს წარსულშიც. ეს გამოცდილება სულ ახლახანს გამოიყენა სომხეთის ხელისუფლებამაც და არჩევნების წინ გზიდან მოიშორა თავისი მთავარი მოწინააღმდეგე პარტია - დაშნაკცუტუნი.

რა შეიძლება მოხდეს საქართველოში?

ექსპერტები არ გამორიცხავენ ძველი ეთნოკონფლიქტების მოულოდნელ, ხანმოკლე გამწვავებას. თანაც ეს შესაძლოა მოხდეს ვითომდაც რუსეთის მიერ დადებულ პირობათა რეალიზაციის ფონზე - მაგალითად, შეიქმნება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების სრული ილუზია, რაც გამოიწვევს მეორე მხარის აგრესიას შესაბამისი შედეგებით. საერთო საფრთხე კი, მოგეხსენებათ, ძალების მობილიზების საფუძველს ქმნის. დაახლოებით ასე მოხდა 11 ოქტომბრის არჩევნების წინ, როდესაც აფხაზეთში ჯარების შეყვანამ ყალბი ენთუზიაზმის ატმოსფერო შექმნა და შევარდნაძის შეუცვლელობის სინდრომი წარმოქმნა.

არ გამორიცხავენ ეთნოკონფლიქტების ახალი კერის წარმოქმნას, ვთქვათ, ქვეყნის სამხრეთში, რამაც, შესაძლოა, არ მიიღოს სამხედრო დაპირისპირების სახე, მაგრამ საზოგადოებაზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტორად იქცეს.

დაბოლოს, კლასიკური ვარიანტი - ე.წ. ზვიადისტური ამბოხი, რომლის გათამაშების დიდი გამოცდილება გააჩნია არსებულ ხელისუფლებას. ეს შიდაპოლიტიკურ ძალებზე დაწოლის ყველაზე ეფექტური საშუალება იმითაც არის მომგებიანი, რომ დღეს უკვე შესაძლებელი ხდება მთავარ ოპონენტს სხვა, შიდასახელისუფლებო ძალებიც გამოაბა და "ტერორისტ-ზვიადისტებთან" ალიანსში ამხილო.

მაშ ასე, პროვოკაციები გამორიცხული არ არის და. საზოგადოებას განსაკუთრებული სიფხიზლე მოეთხოვება დღეს, როდესაც ძლვარი ბოროტებასა და სიკეთეს შორის სულ უფრო იშლება ულმობელი დროისა და ადამიანური სისუსტეების ზეობის ძალით.

## რას გადაწყვეტს საეკლესიო კრება

როგორც ცნობილია, 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ჩატარდება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გაფართოებული კრება.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, კრებაზე განსახილველად გადის შემდეგი საკითხები:

ა) საეკლესიო განათლება; ბ) მისიონერული მოღვაწეობა; გ) საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობა; დ) საქართველოს ეკლესიის სოციალური პროგრამა და საქველმოქმედო მოღვაწეობა; ე) ახალი წმინდანების კანონიზირება; ვ) საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების პროექტის წარმოდგენა; ზ)მღვდელმთავართა მოხსენებები ეპარქიათა შესახებ; თ) სხვადასხვა საკითხები.

დღევანდელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, მწვავედ დადგა იულიანური კალენდრის გრიგორიანულით შეცვლის საკითხი, ანუ ეკლესიის ახალ სტილზე გადასვლის შესაძლებლობის განხილვა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გარკვეულ ძალებს სურთ კალენდრის შეცვლის საკითხის გატანა კრებაზე. ეს იმდენად მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია ეკლესიური თვალსაზრისით, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა უცილობლად გამოიწვევს განხეთქილებას და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაყოფას. ზედმეტად მიგვაჩნია იმაზე საუბარი, თუ რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე ხმის უფლებით მონაწილეობენ მღვდელმთავარნი (სამღვდელონი, ბერ-მონაზონნი და საერო პირნი კრებაზე სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით). თუ კრებაზე მოხდა საეკლესიო, ანუ იულიანური კალენდრის შეცვლა გრიგორიანულით, მოსალოდნელ უმძიმეს შედეგებზე - სწორედ მათ დაეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა.

## აფეთქება პარლამენტის ეზოში

### ტერორისტული აქტების სერიალი გრძელდება

29 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ეზოში, საღამოს 18.30 საათზე აფეთქდა მანქანაში ჩადებული ნაღმი. აფეთქება მოხდა პარლამენტის სხდომის დამთავრების შემდეგ, სწორედ იმ დროს, როდესაც ედუარდ შევარდნაძე მიემართებოდა მოსწავლეთა სასახლეში, სადაც დანიშნული იყო საზეიმო ცერემონიალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით. მასთან ერთად მანქანაში ისხდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და შევარდნაძის აპარატის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.

თვითმხილველთა მოწმობით, აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ საგრძნობმა ბიძგმა შიარყია პარლამენტიდან საკმაოდ მოშორებული შენობები, ჩაამსხვრია პარლამენტისა და ახლომდებარე სახლების მინები, მთლიანად მოგლიჯა კარ-ფანჯრები მომიჯნავე სახლიდან. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ აფეთქებას არ გამოუწვევია მიმდებარე ნაგებობათა ნგრევა. გაჩენილი ხანძარისგან დაიწვა ეზოში მდგარი რამდენიმე მანქანა, სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო პარლამენტის დაცვის რამდენიმე წევრმა, მაგრამ შევარდნაძისა და მის თანმხლებთა სიცოცხლეს რეალური საფრთხე არ შექმნია.

ხანძარი სწრაფად იქნა ლიკვიდირებული სახანძრო მანქანების მიერ, ხოლო რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა მძიმე სამხედრო ტექნიკით. მოგვიანებით დაინიშნა პარლამენტის საგანგებო სესია.

იმავე საღამოს, ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში შევარდნაძემ განაცხადა, რომ არ დაუშვებს საქართველოში ტერორისტებისა და ბანდიტების თარეშს. თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა და მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადეს, რომ ეს აფეთქება მიზნად ისახავდა ედუარდ შევარდნაძის მკვლელობას. ასეთივე შეფასება მისცა მომხდარს პეტრე მამრაძემ. სააგენტო "ინტერფაქსის" კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში "მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ მართალია, იგი შევარდნაძის პოლიტიკის მოწინააღმდეგეა, მაგრამ ასევე წინააღმდეგია ტერორისტული აქტების და გმობს მომხდარს.

დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ ეს შემთხვევა შესაძლოა გახდეს წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების ახალი ტალღის დაწყების საბაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არშემდგარი ზეიმის ქრონიკა

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ... კონსტიტუცია

**24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო შევარდნაძისეული კონსტიტუციის პროექტი. საპარლამენტო ვაჭრობამ დადებითი შედეგი გამოიღო ხელისუფლების, მაგრამ არა საქართველოს მომავლისთვის.**

ძალთა განლაგება ამგვარი აღმოჩნდა: რეგისტრირებული 177 დეპუტატიდან - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ჯაბა იოსელიანსა და ვახტანგ ბეგიაშვილს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, კონსტიტუციას მხარი დაუჭირა 159-მა, 8 - წინააღმდეგი აღმოჩნდა, მათ შორის - ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება და თემურ ჟორჟოლიანი პიროვნულად, თავისი პარტიის გარეშე, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი მონარქისტი.

მაშ ასე, როგორც მოველოდით, ოპოზიციის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადვილად დათმო მის მიერ დეკლარირებული პოზიციები, მაგრამ, საფიქრალია, სანაცვლოდ რაღაც მოიპოვა. რა?! უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი, ვინაიდან მეორე დღესვე თავად მოწინააღმდეგე დეპუტატების ერთმა ნაწილმა სატელევიზიო შოუში "საღამო მშვიდობისა" თავზე ნაცარი დაიყარა და საგანგებოდ აღნიშნა უკვე მიღებული კონსტიტუციის გამორჩეული ღირსებები. თურმე მათ ზოგიერთ საკითხში უთანხმოების გამო არ მისცეს ხმა დოკუმენტს, თორემ ძირითადად იზიარებენ მის სულისკვეთებას.

ჩვენც ასევე ვფიქრობთ.

მეტიც, საფიქრალია, რომ ისინი იზიარებენ იმ არმიღებული ნაწილის სულისკვეთებასაც, რომელიც შევარდნაძემ ოსტატურად ჩამოაცილა (ან უფრო სწორად, გამოაპარა) პარლამენტს, რათა საქართველოს სამხარეო-ფედერალური მოწყობის საკითხი წინასაარჩევნო ეტაპზე განხეთქილების ვაშლი არ გამხდარიყო. ეს კი სწორედ ის ოქროს ვაშლია, რომლის ფასი ორივე მხარემ კარგად უწყის. ზოგიერთები კონსტიტუციის ამ თავის განხილვის გადავადებას შევარდნაძის მხრიდან კომპრომისად მიიჩნევენ, რეალურად კი სახელმწიფოს მეთაურმა ოპოზიციას ამ კოზირით მანიპულირების საშუალება მოუსპო.

ეს ტაქტიკა უდავოდ გამართლებულია მაშინ, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის არ არსებობს პრინციპული განხეთქილება და კონფლიქტის მიზეზი მხოლოდ ნადავლის გაყოფა-განაწილებაა. ვის მეტი შეხვდება - მნიშვნელოვანია მხოლოდ მოპაექრე ყაჩაღებისთვის, გარეშეს კი ეს არაფერს არგებს.

საქართველოს შემთხვევაში კი, რეალობის ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ეს გარეშე - მთელი ქვეყანაა.

## უპრინციპობის ერთჯეროვნება

**ავტომატისა და ბუშლატის რომანტიკას ცვლის ბაფთისა და სმოკინგის რესპექტაბელობა, ტყვიების კაკანს - მოლაპარაკების ხელოვნება, დეკრეტებს - კონსტიტუცია, მაგრამ მიზანი იგივე რჩება...**

ოფიციოზური პოლიტიკური სპექტრი მიილტვის ერთი მიზნისკენ - განიმტკიცოს ხელისუფლება ან სისხლისა და ცოდვის ფასად მოპოვებული ადგილი ცისქვეშეთში. ამ მიზნის ერთობლიობა მოკავშირედ ხდის პოზიციასა და ოპოზიციას. ამიტომაც, მხოლოდ ღიმილს იწვევს რიგი არასაპარლამენტო პარტიების ქადაგებანი იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო ოპოზიციასთან თანამშრომლობამ, შესაძლოა, განამტკიცოს სახელისუფლებო სტრუქტურებში ეროვნული ტენდენციები. ეს შეუძლებელია უკვე იმიტომ, რომ დღევანდელი ოფიციოზის ორივე მხარე - შევარდნაძისტებიც და ანტიშევარდნაძისტებიც - არსებითად ერთ საფუძველზე აღმოცენებულნი და საერთო ბუნებისანი არიან. ისინი ერთი პროცესის, ტენდენციის, იდეის სხვადასხვა ფორმას, სხვადასხვა სახეს, თუ გნებავთ, სხვადასხვა ეტაპს წარმოადგენენ.

რევოლუციური დემოკრატიზმის საზოგადოება თავისი განვითარების ახალ ფაზაში შედის, უფრო იხვეწება, ცდილობს - შედარებით ლოიალური მეთოდებით იმოქმედოს, უფრო ჰუმანური, სამართლებრივი იერი შეიძინოს. ერთი სიტყვით, ავტომატისა და ბუშლატის რომანტიკას ცვლის ბაფთისა და სმოკინგის რესპექტაბელობა, ტყვიების კაკანს - მოლაპარაკების ხელოვნება, დეკრეტებს - კონსტიტუცია, თუმცა მიზანი იგივე რჩება...

მაგრამ საზოგადოება ზოგადად და დევალვირებული საზოგადოება მით უფრო, მიდრეკილია, არსებითზე მეტად - ზედაპირულს, შინაარსზე მეტად - ფორმას მიაპყროს ყურადღება. ამიტომაც, მრავალს აღმოაჩნდა სურვილი თავადაც მოირგოს ეფექტური სმოკინგი და ჩაერთოს ღრმააზროვანი გამომეტყველების ფასადით შენიღბულ უაზრო და უშედეგო დებატებში. და ამ ნაყოფიერ ნიადაგზე იშვა იგი - იდეა საყოველთაო გაერთიანებისა.

ეროვნული ერთიანობის, კონსოლიდაციის იდეის პროფანაცია დღეს საზოგადოებაში წარმმართველი ტენდენციის სახეს იძენს. რატომ პროფანაცია?! იმიტომ, რომ პრაქტიკულად ერთიანობაზე ქადაგებენ ისინი, ვინც ძალადურად დაარღვია ეს ერთიანობა, ხოლო ამჟამად მიზნად ისახავს საარჩევნო რაუნდებისთვის ხმების შეგროვებას და არა ერის რეალურ გაერთიანებას ერისთვის სასიკეთო იდეის გარშემო.

პარალელურად ვითარდება ეროვნული მიზნებისთვის ოპოზიციის გამოყენების თეორია, რომელიც ისეთივე ილუზიაა, როგორიც იყო შევარდნაძის გამოყენების დიდი ჩანაფიქრი. უკანასკნელმა საკონსტიტუციო კენჭისყრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს, როდესაც ეროვნულ სათათბიროში დაპირებების დაფრქვევის შემდეგ, რიგმა პარლამენტარებმა უპრობლემოდ შეუერთეს ხმა უმრავლესობის ქოროს.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი სულ უფრო მეტად ილტვის ილუზიებისა და უპრინციპობის იდეოლოგიისკენ. და უკვე ამით ხდება ერთგვაროვანი. არა ერთიანი, არამედ ერთგვაროვანი.

ოპონენტები გვეტყვიან, რომ ილუზია იყო თავად საქართველოს თავისუფლების იდეა. არამც და არამც, და მის რეალისტურობას ადასტურებს თუნდაც ის გამძვინვარება, რომლითაც ლამის მთელი სამყარო დაუპირისპირდა ამ იდეას. ილუზიებს ასეთი გამეტებით არ ებრძვიან. ილუზიებს ებრძვიან ისე, როგორც შევარდნაძე თავის საპარლამენტო ოპოზიციას - რბილად, მუხლობრივად...

*მამუკა ტუსიშვილი*

## შამპანურის მოსალოდნელი შედეგები

**კონსტიტუციის მიღების მეორე დღისთვის შევარდნაძემ პარლამენტი მიიწვია მოსწავლეთა სასახლეში ჭიქა შამპანურზე, მაგრამ დანიშნული საზეიმო ცერემონიალი ჩაიშალა გაურკვეველი მიზეზების გამო.**

ოფიციალური ინფორმაციით, ეს განაპირობა დედაქალაქის მერიის მოუმზადებლობამ, სათანადო სიმაღლეზე აღენიშნა ესოდენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა. თავისთავად, ეს ფაქტი უკვე იწვევს ეჭვს თუ არა, გაოცებას მაინც. მაგრამ ამ სატელევიზიო ინფორმაციას თან ახლდა სრულიად გაურკვეველი შეტყობინება იმის შესახებ, რომ ედუარდ შევარდნაძის პირადმა ექიმმა მას ერთი დღით დასვენება ურჩია. უნდა გვეგულისხმა, რომ ბელადი გადაიღალა, მაგრამ ასეთი ტიტანური ენერგიის მოღვაწის გადაღლა, თანაც ასეთ მომენტში, როდესაც საბოლოოდ გამოიკვეთა მისი პოლიტიკური პერსპექტივა, წინააღმდეგობრივ გრძნობებს ჰბადებს.

საზოგადოება მღელვარებამ და ჭორებმა მოიცვა: აქეთ-იქიდან მოდიოდა ცნობები, რომ შევარდნაძემ გონი დაკარგა, კომაშია, თუ ინსულტი აქვს და ფაქტობრივად ინვალიდობა ემუქრება; მეორენი არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ მომავალ პრეზიდენტს, მართლაც დაძაბული მუშაობის შემდეგ, დაეტყო დაღლილობა და ექიმებმა ურჩიეს გადაედო კონსტიტუციის მიღების საზეიმო აღნიშვნა უკეთესი მომენტისთვის; გაისმა ამგვარი ვერსიაც: თითქოს სწორედ იმ დღეს დაგეგმილი იყო ჯაბა იოსელიანის დაკავება, რაც ვერ განხორციელდა.

ხალხური ზეპირსიტყვიერების რომელი ნიმუში შეესაბამება სინამდვილეს, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ დამკვირვებელთა ნაწილი არ გამორიცხავს კიდევ ერთ ვარიანტს - სიმულაციას, თავის მოავადმყოფებას პოლიტიკური მიზნებისთვის. ამ ვერსიის მომხრენი თვლიან, რომ კონსტიტუციასთან მიმართებაში ხელოვნურად გაერთიანებული პარლამენტი მაინც იწვევს შევარდნაძის უნდობლობას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა და, მით უფრო, დეზინფორმაცია შეიძლებოდა გამხდარიყო რიგი ძალების რეაქციის კატალიზატორი. გარდა ამისა, საპარლამენტო ვაჭრობის დროს შევარდნაძემ, როგორც ჩანს, გარკვეული გარანტიები მისცა ოპოზიციონერებს და მოხარული იქნებოდა, თუ ისინი რაიმე უნებლიე შეცდომით საშუალებას მისცემდნენ უკან წაეღო თავისი დაპირებები.

მართლაც, არ არის გამორიცხული, განგებამ შეახსენა შევარდნაძეს, რომ ისიც მოკვდავია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ინციდენტი, ან თუნდაც პირადი ექიმის მოკრძალებული განცხადება, არ უნდა იყოს უმნიშვნელო, თუნდაც იმის გამო, რომ საპრეზიდენტოდ გამზადებული ლიდერის ჯანმრთელობა, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ფაქტორია ხოლმე მისი გამარჯვებისა, ვინაიდან ავადმყოფი პრეზიდენტი ქვეყანაში არასტაბილურობის საშიშროებას ქმნის. ამიტომაც, რიგ ქვეყნებში წინასაარჩევნო პერიოდში სისტემატურად ქვეყნდება ცნობები ამა თუ იმ კანდიდატის ჯანმრთელობის შესახებ და საინფორმაციო საშუალებები საგანგებოდ ინტერესდებიან ამ საკითხით. ჩვენთან, ცხადია, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

დაბოლოს: კონსტიტუციის მიღების შემდეგ შევარდნაძე ჭიქა შამპანურის დალევას აპირებდა და ვაითუ "ღვთიურმა სითხემ" ავნო ქართული დემოკრატიის -მამას?! ამ შემთხვევაში კიდევ ერთ "შამპანურის საქმეს" უნდა ველოდოთ და მეღვინეებს კიდევ ერთხელ მოუწევთ საგზლის მომზადება ახლომდებარე ადგილებში ეტაპის წინ.

*მ. ტ.*

# რას გვპირდება არჩევნები

საოცარი სისწრაფით გარბის დრო. უკან მოიხედავ და გაგიკვირდება. აი, უკვე ახალი არჩევნებისთვის ემზადება არსებული ხელისუფლება. არადა, თითქოს გუშინ იყო ის "იმედიანი" დღე, რასაც 11 ოქტომბრის განსაცვიფრებლად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჰქვია. ალბათ, ყველას ახსოვს უპრეცედენტო საარჩევნო კანონით, იარაღისა და მუქარის ქვეშ ჩატარებული "იმედის არჩევნები", რომელიც უზრუნველ მომავალს ჰპირდებოდა ქართველ ხალხს. "მალე შვეიცარიას დავემსგავსებით, ხელფასს მარკებში გადაგვიხდიან, აფხაზეთში წარმატება გარანტირებული გვაქვს"- გვამშვიდებდნენ არსებული ხელისუფლების იდეოლოგები.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა - აფხაზეთის დაბრუნების იმედი დავკარგეთ, ხელფასს არათუ მარკებში, კუპონებშიც აღარ არიგებენ, საქართველო ირანის ჭუჭყიან ბაზარს დაემსგავსა, ხოლო ქვეყანა, სადაც თვით მზეც კი ჩრდილოეთიდან ამოდის, აი, უკვე სამი წელია წყვდიადში ცხოვრობს.

ელექტროენერგიის ხელოვნურად შექმნილი კრიზისი (ჰიდროელექტროსადგურების ქვეყანაში) შესანიშნავად ჯდება წინასაარჩევნო კამპანიის მრავალფეროვან თემატიკაში. თუ წინა არჩევნებში დეპუტატის მანდატის მაძიებელნი საყვირიან ჩაიდნებს გვპირდებოდნენ, ახლა ჩვენი საარჩევნო ხმის სანაცვლოდ, ელექტროენერგიით შეუფერხებლად მომარაგებას გვპირდებიან.

. თურმე რა ადვილი ყოფილა ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა და ზამთრისთვის სამზადისი. შემოდგომაზე დანიშნავ არჩევნებს, წახვალ, მისცემ ხმას და პრობლემაც მოგვარებულია, აღარც გაზია საჭირო და აღარც საწვავი.

იქნებ, საქენერგოს დაპირება მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების შესახებ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, რადგან არც ერთ ქვეყანაში ამგვარი პრაქტიკა (არჩევნების ჩატარებით ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა) არ არსებობს, ან იქნებ, საქენერგო იმ სინათლესა და ენერგიას გვპირდება, რომელიც დიადი არჩევნებით გაცისკროვნებულ მომავლს უკვალავს გზას და რომელიც სუსხიან ზამთარში იმედის მარადიული ნაპერწკალივით კიაფობს წყვდიადში ჩაფლული საქართველოს საიმედოდ.

*ქ.ქ.*

# ანტისაარჩევნო ტრიბუნა

პოლიტიკური წრეე-
ბის ინტერესები დღეს
ძირითადად მომავალ
საპარლამენტო და სა-
პრეზიდენტო არჩევნე-
ბის გარშემო იყრის
თავს. საგულისხმოა,
რომ ამასთან დაკავ-
შირებით, საქართვე-
ლოს პოლიტიკურ სპ-
ექტრში შესამჩნევი გა-
დაადგილებები ხდება,
მაგრამ უწინდებურად სა-
ხეზეა ორი მხარე: არ-
ჩევნების მხარდამჭერ-
თა, რომლებმაც რა
ხანია წამოიწყეს საარ-
ჩევნო პროპაგანდისტუ-
ლი კამპანია პრესით
თუ ტელევიზიით, და
ბოიკოტის მომხრეთა,
რომლებსაც, პირველ-
თაგან განსხვავებით,
თავიანთი პოზიციის
წარმოჩენისა და დასა-
ბუთების
შესაძლებლობები მეტად
შეზღუდული აქვთ. ხე-
ლისუფლების მიერ შე-
ქმნილი არასამართლი-
ანი პირობები გვაძა-
ლებს საშუალება მი-
ვცეთ ბოიკოტის მომ-
ხრე პოლიტიკურ ძა-
ლებს, სრულად წარ-
მოაჩინონ და საზოგა-
დოებისთვის სარწმუნო
გახადონ თავიანთი პო-
ზიცია.

ჩვენ ვთავაზობთ პო-
ლიტიკურ პარტიათა გა-
ერთიანება "მრგვალ მა-
გიდაში", ეროვნულ-
ხსნის მოძრაობა-წინა-
აღმდეგობის ფრონტში
შემავალ ორგანიზაცი-
ებს, ეროვნულ-პოლიტ-
იკურ მოძრაობა ჭყონ-
დიდელს, საქართველოს
ჰელსინკის კავშირს,
ეროვნულ-რადიკალურ
კავშირს, ნაციონალ-
კონსერვატიულ პარტი-
ას, გეორგიანულ მოძ-
რაობას, კონსტანტინე
გამსახურდიას საზოგა-
დოებას, ნეოკონსერ-
ვატიულ პარტიასა და
სხვა ორგანიზაციებს,
განდევნილი უზენაესი
საბჭოს წევრებს და
საერთოდ, კანონიერი ხე-
ლისუფლების აღდგენის
მომხრე ძალებს, გამო-
გვეხმაურონ და ამ სა-
კითხით დაკავშირებით
მათთვის მისაღები ფო-
რმით მოგვაწოდონ თა-
ვიანთი მოსაზრებები.

ჩვენი რუბრიკის (ტრი-
ბუნის) პირველი სტუ-
მრები არიან ზურაბ ის-
აკაძე და ზურაბ კვარ-
ცხელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღალატი პირველად არის ძნელი



**გურამ ისაკაძე, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტიის გამგეობის წევრი, პროფესიით ფიზიკოსი, 42 წლის, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.**

კორესპონდენტი: წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურად დადგა ეროვნული ძალების კონსოლიდაციის საკითხი. არსებობს თუ არა რეალური საფუძველი ეროვნული ერთიანობისთვის დღევანდელ სიტუაციაში და ვის ხედავთ პოტენციურ მოკავშირედ?

გურამ ისაკაძე: საერთოდ, არავის დაუყენებია ფილტრი, რომელიც განსაზღვრავს, რომელია ეროვნული ძალები და რომელი არა. ამას გამოავლენს ყოველი მათგანის ქმედება - ვინ რასაც აკეთებს, იქიდან ჩანს მისი ნამდვილი ორიენტაცია. იმიტომაც, ხშირად ეს ძალიან ფართო ცნება - ეროვნულობა, სინამდვილეში ძალზე ვიწრო ზოლად იკვეთება ხოლმე, როგორც ახლა. ეროვნულ ძალას ეროვნული საქმეები უნდა ახასიათებდეს. ვფიქრობ, ძალები, რომლებიც ნამდვილად ეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ, უკვე გაერთიანებულია, ყოველ შემთხვევაში, პრინციპულ პოზიციაში მაინც.

რაც შეეხება იმ ძალებს, რომლებსაც გაჩნიათ ეროვნულობის პრეტენზია და, როგორც ამბობენ, რაღაც შეეშალათ (არადა, რას ჰქვია შეეშალათ?! - მათ განახორციელეს ყველაზე ანტიეროვნული აქტი, ძალით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება), მათ შესახებ მიჭირს ვთქვა, რომ საქმით ისინი ეროვნულები არიან. ზოგიერთს მართლაც აქვს გარკვეული დამსახურება წარსულში, მაგრამ დღეს მათი საქმიანობა ერის ინტერესების საკუთრივ სწორად არ იწოდება. ვგულისხმობ თუნდაც მათ გარჯას უკანასკნელ პერიოდში - იგივე კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით, რაც თვალნათლივ დაინახა მთელმა საქართველომ.

ცოტა უფრო ადრე ისინი საკმაოდ რადიკალურად გამოდიოდნენ და, შესაძლოა, სიმპათიებიც კი დაიმსახურეს. ამან, ალბათ, გარკვეული ილუზიები წარმოშვა ჩვენშიც კი, რომ ე.წ. ოპოზიციური ძალები რაღაცას რეალურად მოიმოქმედებდნენ. მაგრამ საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ისინიც განუყოფელი არიან იმ პარლამენტისგან, რომელმაც საქართველო დსთ-ში შეიყვანა, რომლის დასტურითაც დაიდო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემლახავი შეთანხმებები და ხელშეკრულებები.

კორ. საკონსტიტუციო ციებ-ცხელების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველი არჩევნებისთვის მზადებაა. როგორია თქვენი პოზიცია ამ არჩევნების მიმართ?

გ. ი. ჩემი, როგორც უზენაესი საბჭოს წევრის პოზიცია ამ არჩევნების მიმართ ისეთივეა, როგორიც 11 ოქტომბრის არჩევნებისადმი - მკვეთრად უარყოფითი. ვთვლი, რომ ერთადერთი ღირსება, რომელიც ჩემი სამშობლოს წინაშე გამაჩნია, ისაა, რომ ვარ დამოუკიდებელი და არა დსთ-ში შემავალი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი, და ამ ღირსებას ვერ დავთმობ.

ბოლოს და ბოლოს, საქმე ჩემში ხომ არ არის - პირადად მე არავის დავუმხივარ, მე არავინ მერჩოდა. ერჩოდნენ და დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. უზენაესი საბჭო ესაა ამ სწრაფვის, ამ იდეის აღდგენის იურიდიული გარანტი და ამიტომ, ჩვენ ვალდებულნი ვართ თუნდაც შევინარჩუნოთ ეს სამართალმემკვიდრეობა. ხოლო მისი გაუქმებით დაინტერესებულია არა იმდენად საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ამწუთიერი, სადღეისო მიზნებისთვის ირჯება, რამდენადაც რუსეთი, რომელსაც ესაჭიროება საქართველოში თავისი ბატონობის საბოლოო დაკანონება.

კორ. თქვენის აზრით, არის კი კანონიერი ხელისუფლების არჩევნებში და, შესაბამისად, მომავალ პარლამენტში შეტყუების მცდელობა?

გ. ი. არის და საკმაოდ აქტიურიც. ეს, ცხადია, ამ რეჟიმსაც უფრო დემოკრატიულად წარმოაჩენდა. ვფიქრობ, რამდენიმე კაცს პარლამენტშიც სიამოვნებით გაიყვანდნენ - აქაოდა, მთელი პოლიტიკური სპექტრი გვყავსო წარმოდგენილი. შემდეგ იქ ისინი შეიძლება დაამუშაონ და მომართავენ მათთვის საჭირო მიმართულებით. ეს აწყობთ იმათაც, ვინც თვითონ გაშიშვლდა, ერის წინაშე დანაშაული ჩაიდინა და სამომავლოდ ურჩევნია ალარავინ დარჩეს ისეთი, ვისაც თვალებს თამამად ველარ გაუსწორებს. ახლა ეს ძალები, ერთის მხრივ, კომერციულ და სხვადასხვა საეჭვო საქმიანობებში არიან ჩართულნი, მეორეს მხრივ კი, ჩოხაახალუხს ირგებენ, სამომავლოდ ემზადებიან, როდესაც საქართველოში ეროვნული ნიღბით შემოსილი, არსებითად კი კვლავ მარიონეტული ხელისუფლების ჟამი დადგება.

კორ. საპარლამენტო ოპოზიცია აქტიურად ქადაგებს მომავალ პარლამენტში ძალთა ისეთი თანაფარდობის შექმნას, რომ მმართველმა კლანმა ველარ შეძლოს სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების უპრობლემოდ გატანა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა დღევანდელ ვითარებაში ეს?

გ. ი. დიახ, მათ იმედი აქვთ მოიპოვონ ერთი მესამედი მაინც, რომლითაც დაბლოკავენ შევარდნაძის ანტიეროვნულ ინიციატივებს, თუნდაც ახალი კონსტიტუციის თაროზე შემოდებულ თავებს სამხარეო-ფედერალური მოწყობის შესახებ. ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან მეეჭვება, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ ოპოზიციას თავისი არგუმენტები გააჩნია, რომლითაც, სხვათა შორის, ახერხებენ საზოგადოების, მათ შორის, კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა გარკვეული ნაწილის დარწმუნებას.

ერთი მესამედის მოტივი, გარკვეულწილად, ჩვენს წინააღმდეგ მომართულ ფსიქოლოგიურ იარაღადაც იქცა: თუ დაგვეხმარებით, შევძლებთ შევარდნაძისთვის ხელ-ფეხის შეკვრას, თუ არა - ყველაფერი თქვენი ბრალი იქნება. არის მეორე ფაქტორიც - ჩვენ მიზანმიმართულად გვაქცევენ პოლიტიკურ იზოლაციაში და საბოლოოდ, ალბათ, გვიმზადებენ შერეკილების, კერპთაყვანისმცემლების როლს. რას იზამ, ამ ბრძოლის პრაქტიკა ახეთია - სიმართლის წინააღმდეგ არა მხოლოდ მახვილით იბრძვიან, არამედ ქილიკითაც. უნდა გავუძლოთ, მაგრამ ყველას არ შეუძლია ამის მიღება და სწორედ ამაზეა ეს ხრიკები გათვლილი.

მთავარი კი ის არის, რომ დღეს საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი თავისუფალ არჩევნებზე. მთელმა საქართველომ რომ მისცეს კიდევაც ხმა მხოლოდ ოპოზიციას, ან ჩვენ, ფაქტობრივი ხელისუფლება ფლობს იმ რეალურ ბერკეტებს - ფინანსურ, მაკონტროლებელ, ძალისმიერ და სხვა - რომელთა გამოყენებით შეუძლია ნებისმიერი მასშტაბის ფალსიფიკაციის ორგანიზება. თავად ოპოზიცია კი - საპარლამენტო, თუ ქუჩის - არ ფლობს ამ გაყალბების თავიდან აცილების არანაირ მექანიზმს. პარლამენტში გასვლა მოხდება წინასწარი შეთანხმებით.

> **"...1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების წინ დამაპატიმრეს არჩევნების ჩაშლის მცდელობის მოტივით. ციხეში მოგვთხოვეს არჩევნებში მონაწილეობა. 11 კაციდან მხოლოდ ოთხმა განვაცხადეთ კატეგორიული უარი ხმის მიცემაზე და ვერც ვერავინ გვაიძულა. ჩემთვის ვამბობდი: "არჩევნების ჩაშლას მდებენ ბრალად და ამისთვის დამიჭირეს, ხმა როგორ მივცე, შვილებს სახეში როგორ შევხედო-მეთქი." ოთხივე გვცემეს, მაგრამ მეორე დღესვე გაგვიშვეს, დანარჩენები კი, ვინც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, კიდევ ათი დღე ჰყავდათ დამწყვდეული..."**

ჩემის აზრით, ამ ავანტიურის შედეგი მხოლოდ ერთი იქნება - მოტყუებული ხალხი მივა საარჩევნო უბნებში და შევარდნაძეს საფუძველი ექნება თქვას, რომ მისი არჩევა მოხდა საერთო-სახალხო ენთუზიაზმის ატმოსფეროში.

კორ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ე.წ. ეროვნული ყრილობის იდეისადმი?

გ. ი. პირდაპირ ვიტყვი - უარყოფითი. ჩემის აზრით, ეს ყრილობა იმავე მიზანს ისახავს, რასაც წინასაარჩევნო ხრიკები და ყოველგვარ საქმიან ძალისხმევას მოკლებული დეკლარაციები გაერთიანებისკენ, რათა მაქსიმალურად შევიწროვდეს ჭეშმარიტად ეროვნული ძალების წრე. საერთოდ არ მესმის, რა ნიშნით იქნება ეს ყრილობა ეროვნული: ერის ინტერესებს გამოხატავს, თუ პოლიტიკურ პარტიათა სიმრავლის ნიშნით?!

გარდა ამისა, საზოგადოების ძალზე დიდი ნაწილისთვის და, მათ შორის, ჩემთვისაც, ყოვლად მიუღებელია, ვთქვათ, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ სიგუას გვერდით დადგომა. მათ ეს თვითონაც იციან და მართლაც ერის გამთლიანება რომ სურდეთ, წინა პლანზე კი არ გამოვიდოდნენ, საერთოდ ჩამოსცილდებოდნენ ამ პროცესს. მათ პრაქტიკული სარგებლობის მოტივები ამოქმედებთ და მათი მოწყობილი ყრილობა არ იქნება ეროვნული ამ ცნების ფართო გაგებით.

კორ. რას მოელით სახიკეთოს მომავლისგან?

გ. ი. გააჩნია, რა თვალით უყურებ მომავალს. ჩემის აზრით, ჩვენს მიერ არჩეული გზა - ჩვენი გოლგოთაა, რომლის გავლაც ჩვენი საპატიო ვალია. ჩვენ არ გვაქვს ამ გზიდან გადახვევის უფლება. ყველაფერს ფხიზლად უნდა შევხედოთ და სალად უნდა გავიაზროთ. ამ წუთიერ მოთხოვნებს არ ვანაცვალოთ ის იდეა, რომელთან წილნაყარიც გავხდით. ეს გზა უნდა გაგრძელდეს და, სხვა თუ არაფერი, მომავლისკენ გადებულ ხიდად იქცეს. რასაკვირველია, შეიძლება უფრო პრაქტიკული თვალით შევხედოთ საქმეს, მაგრამ გააჩნია, რისი დათმობის ფასად. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ღალატი პირველად არის ძნელი, შემდეგ კი ჩვევად ყალიბდება. არა მგონია, ამას შეჩვეულნი უფრო ბედნიერნი იყვნენ, ვიდრე ერთგულნი.

# აუცილებელია გამოინახოს ბრძოლის ეფექტური გზები

**ზურაბ კვარაცხელია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი, დევნილი აფხაზეთიდან, 31 წლის, უცოლშვილო,**



კორესპონდენტი: ბ-ნო ზურაბ, დღეს საქართველოში ინტენსიური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. გაისმის მოწოდებები გაერთიანებისკენ. როგორია ვითარება ამ მხრივ ეროვნულ ძალებში?

ზურაბ კვარაცხელია: სამწუხაროდ, ეროვნულ ძალებში არ არის დღეს ერთიანობა და ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არის დაქსაქსულობა. ამას აქვს სხვადასხვა მიზეზი - როგორც ობიექტური, ისე სუბიექტურიც. ერთ-ერთი მომენტი, რამაც განაპირობა დღევანდელი ვითარება, არის ის, რომ ეროვნულ ძალებში, ეროვნულ პარტიათა და ორგანიზაციათა მესვეურებში არ ჩანს ის კეთილი ნება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ამ მეტად საშური ერთიანობის მიღწევა. ეს არის, ალბათ, უმთავრესი მიზეზი. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ ეროვნულ მოძრაობაში არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერი, პიროვნება, რომლის სიტყვა ყველასთვის იქნებოდა ავტორიტეტული და რომლის გარშემოც დაირაზმებოდა მთელი სპექტრი ეროვნული ძალებისა.

კორ. ძალთა გაერთიანების ერთ-ერთი მცდელობა იყო ე.წ. ეროვნული სათათბირო. როგორ შეაფასებდით სათათბიროს მუშაობას და რა როლი ითამაშა მან?

ზ. კ. მოგეხსენებათ, რომ სათათბიროსადმი ეროვნულ მოძრაობაში არ იყო ცალსახა დამოკიდებულება. არ დავმალავთ იმასაც, რომ ჩვენ თავიდანვე არ ვიყავით მაინცდამაინც დარწმუნებული, რომ სათათბიროში მოხერხდებოდა მნიშვნელოვანი, ერისთვის სასიკეთო საქმის გაკეთება. გარკვეული კონკრეტული საკითხების მოგვარება, ვფიქრობ, შესაძლებელი იყო. თუმცა მიზერული, მაგრამ მაინც იყო გარკვეული იმედები ამისა. სამწუხაროდ, სათათბიროს მუშაობამ დაგვანახვა, რომ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი მეტად დაბალი აღმოჩნდა. სათათბირომ ფაქტობრივად ვერ შეძლო რაიმე ღირებულის გაკეთება. ეს, ალბათ, განაპირობა იმანაც, რომ სათათბიროში იდეურად დაპირისპირებული ძალები იყვნენ თავმოყრილი და ამდენად, სათათბირო თავიდანვე იყო განწირული მარცხისთვის. შეიძლება ითქვას, რომ დღეს იგი უკვე აღარ არსებობს. ჰელსინკის კავშირმა დატოვა სათათბირო, ვინაიდან ველარ ხედავდა მასში მონაწილეობის რაიმე პერსპექტივას. უნდა ითქვას, რომ სათათბირო აძლევდა გარკვეულ პარტიებსა და ორგანიზაციებს შანსს ამიერიდან მაინც ეკეთებინათ ერისთვის სასიკეთო საქმე, მაგრამ ეს ილუზია აღმოჩნდა.

კორ. ახლახან გაჩნდა სხვადასხვა ძალთა კონსოლიდაციის ახალი იდეა - ეროვნული ყრილობა.

ზ. კ. თავისთავად, ეროვნული ყრილობის მოწვევის იდეა მეტად მომხიბლავია, მაგრამ მისი განხორციელების ინიციატორებად მოგვევლინენ შევარდნაძის გუშინდელი მოკავშირენი, რომელთა შესახებ მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ისინი ქართველი ერის გადარჩენამ გააერთიანა. ეროვნულ ყრილობას ჩვენ განვიხილავთ წინასაარჩევნო კამპანიის კონტექსტში. გარკვეულ ძალებს, ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, სურთ ძალაუფლების შენარჩუნება. იმ ძალაუფლებისა, რომლის დაკარგვის საფრთხის წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ.

კორ. სიტყვამ მოიტანა და უკვე მივადექით კიდეც ყველაზე საჭირბოროტო საკითხს. ესაა არჩევნები. როგორია ჰელსინკის კავშირისა და პირადად თქვენი დამოკიდებულება ნოემბრის არჩევნებისადმი?

ზ. კ. არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოზიცია გახლავთ ცალსახა: ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ მონაწილეობას უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში. მეტიც, ყრილობაზე მივიღეთ დადგენილება, რომ კავშირის ის წევრი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ან რაიმე სახით პროპაგანდას გაუწევს მას, გარიცხულ იქნება ჰელსინკის კავშირის რიგებიდან. შეიძლება ვინმეს ეს გადაწყვეტილება რადიკალურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ჩვენი პოზიციაა. თავი რომ დავანებოთ არჩევნებში მონაწილეობის ზნეობრივ მხარეს, თუმცა ზნეობრივი ასპექტი არ არის ჩვენთვის მეორეხარისხოვანი, პრაგმატული მოსაზრებითაც კი, არანაირი აზრი არა აქვს შევარდნაძის მიერ დანიშნულ უკანონო არჩევნებში მონაწილეობას.

კორ. სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც მხარს უჭერს ეროვნულ ძალებს, ბოლო დროს აქტიურად ინერგება აზრი, რომ საჭიროა არჩევნებში მონაწილეობა, რათა მომავალ პარლამენტში მათ მიერ გაყვანილი დეპუტატების დახმარებით უფრო ეფექტურად აწარმოონ პოლიტიკური ბრძოლა. ერთ-ერთ არგუმენტად იხსენიება პოლიტპატიმართა ბედზე ზრუნვა. რამდენად გამართლებულია ამგვარი ტაქტიკა?

ზ. კ. ასეთი აზრი ნამდვილად არსებობს ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი მეგობარი ილუზიის ტყვეობაში იმყოფება. მომავალ პარლამენტში , შესაძლოა, მართლაც მოხვდეს გარკვეული ნაწილი ჩვენი მოძრაობიდან, მაგრამ რაიმე სასარგებლო და ღირებული საქმის კეთებას იმ პარლამენტში ისინი ვერ შეძლებენ. დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძეს თავად აწყობს ეროვნული მოძრაობიდან რამდენიმე კაცის შეყვანა ხელისუფლებაში, რათა შემდეგ სათქმელად ჰქონდეს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ ძალთა მთელმა სპექტრმა და რომ საქართველოში ჰყავის დემოკრატია. ვფიქრობ, დროა, რომ ჩვენმა მეგობრებმა, რომელთაც აქვთ ამ არჩევნებში მონაწილეობით რაიმეს მიღწევის ილუზია, თავიდან ამოიგდონ ეს აზრი და დადგნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის გვერდით. ჩვენ ვაპირებთ აქტიური საბოიკოტო მოძრაობის გაშლას მთელ საქართველოში და ამისკენ მოვუწოდებთ ყველა ეროვნულ ძალას.

კორ. ეგებ ცოტა სხვა კუთხით დავსვათ ეს კითხვა. რითი შეიძლება იყოს საზიანო ეროვნულ ძალთა მონაწილეობა არჩევნებში?

ზ. კ. ჩვენი მონაწილეობით არჩევნებში შეიძლება ხელი შევუწყოთ საქართველოში დღეს არსებული უკანონობის დაკანონებას. ამ არჩევნებით იურიდიულადაც გავაფორმებთ უკვე ფაქტობრივად დაკარგულ ტერიტორიებს.

კორ. რამდენად ხელეწიფებათ დღევანდელ პირობებში არჩევნებში მონაწილეობის მსურველ ოპოზიციურ ძალებს წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა?

ზ. კ. არანაირი პრაქტიკული შესაძლებლობა არჩევნებში რაიმე წარმატების მიღწევისა ეროვნულ ძალებს არ გააჩნიათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საარჩევნო კამპანიას სჭირდება ფინანსები, რომელიც ეროვნულ ძალებს არ გააჩნიათ, და საერთოდ, დღევანდელ საქართველოში რეალურ ბერკეტებს - ეკონომიკურს, ძალისმიერს თუ პროპაგანდისტულს - ფლობს ფაქტობრივი ხელისუფლება. ამიტომ, არჩევნები დამთავრდება ისე, როგორც ეს შევარდნაძეს სურს. შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების ბედი არჩევნებამდეა გადაწყვეტილი. გახსოვთ, ალბათ, რომ 1990 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას თავკაცობით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა არჩევნებში, მაგრამ მაშინ სულ სხვა ვითარება იყო. ჯერ ერთი, ეროვნული ცნობიერება იყო მაღალ დონეზე, იყო ერთიანობა, გვყავდა აშკარად გამოკვეთილი ლიდერი. მაშინ ზვიად გამსახურდია და ეროვნული მოძრაობა ფლობდა სიტუაციის მართვის რეალურ ბერკეტებს, რაც იყო არჩევნებში ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

კორ. როგორც თავში აღვნიშნეთ, ყოველი მხრიდან ისმის მოწოდება ეროვნულ ძალთა გაერთიანებისკენ. როგორ მიგაჩნიათ, არსებობს თუ არა დღეს რაიმე იდეა, რომლის გარშემოც შესაძლებელი იქნებოდა ამ ძალთა რეალური გაერთიანება?

ზ. კ. სამწუხაროდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანებაზე დღეს მხოლოდ ლაპარაკია, მხოლოდ მოწოდებებია. რეალურად კი არაფერი კეთდება. წელან ვახსენე კეთილი ნება და ეს შემთხვევით არ მითქვამს. ეროვნული მოძრაობა რომ გაერთიანდეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კეთილი ნება, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენთაგანში არ იგრძნობა. არადა, საჭიროა დავსხდეთ სხვადასხვა ეროვნულ პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ვისაუბროთ, იქნებ, შევთანხმდეთ კიდეც.

კორ. მაინც რის ნიადაგზე შეიძლება მოხდეს შეთანხმების მიღწევა?

ზ. კ. ეს უნდა იყოს ქართველი ერის გადარჩენის იდეა, საქართველოს გადარჩენის იდეა, ბრძოლის იდეა. საქართველო დგას ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე და ჩვენ ვალდებულნი ვართ გავერთიანდეთ მის გადასარჩენად. უნდა ვიპოვოთ ჩვენს თავში ძალა იმისა, ნება იმისა, რომ დავსხდეთ და შევთანხმდეთ ბრძოლის ეფექტურ გზებზე.

კორ. დიდი მადლობა.

ეროვნული

## ქართული პოლიციის ამერიკული ოპერატიულობა

29 აგვისტოს იმელში მომხდარ აფეთქებას საქართველოს პოლიცია გასაოცარი ოპერატიულობით შეხვდა. როგორც ჩანს, ჩვენი პოლიცია გამოაწრთო ტერორიზმთან ხანგრძლივმა და, რაც მთავარია, ეფექტურმა ბრძოლამ.

29 - 30 სექტემბერს თბილისში განხორციელდა ბოროტმოქმედთა გამოვლინების და ნეიტრალიზების ოპერაციების მთელი სერია. არავინ იცის, იმოქმედებს თუ არა პოლიციის ეს შესაშური ენთუზიაზმი საქართველოში კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესებაზე, მაგრამ თბილისის მოსახლეობას რომ არჩევნებამდე უთუოდ ემახსოვრება კანონიერების მომხრეთა საჩვენებელი და ამიტომ განსაკუთრებით საშიშად გაფორმებული დაპატიმრებები, ფაქტია.

29 აგვისტოს დააკავეს და ვაკის რაიონის პოლიციაში მიიყვანეს განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები - ქალბატონები: ნინო ტატიშვილი-გელბახიანი, ქეთევან უგულავა, ლალი კოსტავა; დაკავებულ იყვნენ აგრეთვე ელგუჯა დრიაშვილი, ლევან დაუშვილი, უნივერსიტეტის პროფესორი ლერი გოგოლაძე. სახლში მიაკითხეს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ზურაბ ძოწენიძეს, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ წაიყვანეს განყოფილებაში. ზურაბ ძოწენიძე დილით თავისი ფეხით მივიდა პოლიციაში, სადაც მას, ისევე, როგორც სხვა დაკავებულებს, ჩამოართვეს ხელწერილი, რომ გამოძახებისთანავე გამოცხადდება პოლიციაში.

საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ, მოქალაქეთა კავშირის თვალსაჩინო წევრმა რეზო ამაშუკელმა დაკავებულ ტერორისტებს რეპრესიული ნოსტალგიით გამსჭვალული პოეტური ლექცია ჩაუტარა ტერორიზმის არსსა და რაობაზე. დაკავებულებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტის არტისტულმა გინებამ, ლანძღვამ, მუქარამ, წყევლა-კრულვამ.

30 აგვისტოს, დილის 8 საათზე მიაკითხეს ზურაბ ვარდოსანიძეს, მოაწყვეს მის სახლში საგულდაგულო ჩხრეკა, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა. ეძებდნენ იმელის შენობის სქემას და გაურკვეველი შინაარსის რაღაცა "ფიცს". ბინიდან ამოიღეს დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. ზურაბ ვარდოსანიძე, ისევე, როგორც ამავე დილას დაპატიმრებული შოთა რატიანი, წაიყვანეს უშიშროების სამმართველოში. შოთა რატიანის ბინაც საგულდაგულოდ გაიჩხრიკა.

### ნემო ჭანტურიას სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პოლიტპატიმარმა ნემო ჭანტურიამ, რომელიც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება, 24 აგვისტოდან გამოაცხადა შიმშილობა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ წინა დღეებში ჩატარებული შემოვლის დროს ზედამხედველებმა მას ჩაუტარეს ჩხრეკა და ყოვლად უკანონოდ წაართვეს პირადი ნივთები. პოლიტპატიმარი მოითხოვს მათ დაბრუნებას. შეშფოთებას იწვევს ის, რომ მწვავე დიაბეტით დაავადებული ნემო ჭანტურიასთვის შიმშილობის გაგრძელება სიკვდილის ტოლფასია.

### მოკლე პუბლიკაცია უკვე ტიპიურად ქცეული "აღიარებების" პრაქტიკის შესახებ

1994 წლის 28 ივლისს თბილისში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა: ბოროტმოქმედებმა ოცდაათზე მეტი ჭრილობა მიაყენეს, ბოლოს კი ყელი გამოჭრეს 9 აპრილის ერთ-ერთი მსხვერპლის, თამრიკო ჭოველიძის დედას - ნინო ისაკის ასულ წამალაშვილ-ჭოველიძეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეჭვმიტანილი პირები დააკავეს, რომლებმაც აღიარეს დანაშაული, თუმცა თორმეტი დღის შემდეგ, ბრალდების დაუდასტურებლობის გამო, ისინი გაათავისუფლეს. ამგვარად საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა, თუმცაღა ოპერატიული ორგანოები მუშაობას განაგრძობდნენ და სულ მოკლე ხანში აიყვანეს ხუთკაციანი ჯგუფი და... რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მათაც აღიარეს დანაშაული.

"ალია", აგვისტო, 1995, №41(150)

### საქართველოს სამშვიდობო ძალები ჩეჩნეთში

მოულოდნელად გამწვავდა ურთიერთობა ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალურ ძალებსა და ჩეჩნეთს შორის. შეშფოთებულმა რუსეთის პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა საქართველოს, შეიყვანოს სამშვიდობო ჯარები რუსეთის ფედერალურ ძალებსა და დუდაევის რაზმებს შორის.

რკონის მიდამოებში უკვე მიმდინარეობს ქართული ჯარის სამშვიდობო პოლკის ფორმირება.

"დრონი", №29, 1995

### საქართველოს ჰელსინკის კავშირის რესპუბლიკური გამგეობის დადგენილება №01

ვინაიდან "ეროვნულმა სათათბირომ" ამოწურა თავისი შესაძლებლობები, საქართველოს ჰელსინკის კავშირი წყვეტს თავის მონაწილეობას სათათბიროს საქმიანობაში.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის რესპუბლიკური გამგეობა
თბილისი, 1995 წლის 2 აგვისტო

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს ნუგზარ მოლოდინაშვილს გარდაეცვალა დედა

**მარიამ მოლოდინაშვილი**

"თავისუფალი საქართველო" თანაუგრძნობს პატიმრობაში მყოფ დეპუტატს მისთვის უდიდესი განსაცდელის ჟამს ასეთი მძიმე დანაკლისის გამო.

## სასიკვდილო განაჩენის აღსრულების საშიშროება კვლავ ძალაშია

პროგრამის წამყვანი თენგიზ გუდავა: საქართველოში გამოტანილია ორი სასიკვდილო განაჩენი დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიმართ. მათი და კიდევ თხუთმეტი ზვიადისტის სასამართლო პროცესი დამთავრდა 6 მარტს, განაჩენის აღსრულების საშიშროება კვლავ ძალაშია. ზვიადისტებს ბრალად ედებათ ტერორისტული აქტებისა და დივერსიების ორგანიზება, კერძოდ, საქართველოს ერთ-ერთ პოლიტიკურ ლიდერზე ჯაბა იოსელიანზე თავდასხმა. საერთაშორისო სამართალდამცავმა ინსტანციებმა არაერთხელ მიაპყ თავიანთი ყურადღება ამ პროცესზე ბრალდებულთა უ ლებების უხეშეს დარღვევებს. მოსკოვის სამართალდამ ავმა ორგანიზაციამ "ახალგაზრდული ანტიფაშისტუ ქმედება" ამ დღეებში გაავრცელა განცხადება, რომელ ეხება გასამართლებული ზვიადისტების საქმეს. ამ გა ცხადებას გაგაცნობთ ორგანიზაციის მდივანი, ჟნი ელ ლებედევა.

"ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, დაბეჯითებით მოვითხოვთ ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის დაუყოვნებლივ გაუქმებას. პროტესტს ვაცხადებთ წამების, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და პროცესუალური ნორმების დარღვევების, დაშინებისა და სიცრუის გამო და მოვითხოვთ საქართველოში კანონიერებისა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის უსწრაფეს აღდგენას."

ესაა ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც ა.წ. მარტში გაუგზავნეთ თბილისის ხელისუფალთ. წერილს ხელს აწერენ: სერგეი კოვალიოვი, ეგორ გაიდარი, იური ლუბიმოვი, მარკ ზახაროვი, ვლადიმერ ვოინოვიჩი, ბულატ ოკუჯავა, სახელმწიფო და მოსკოვის საქალაქო დუმის, ფედერაციის საბჭოს დეპუტატები, რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეები, სამართალდამცავები. ეს პროტესტი ერთ-ერთია იმ მრავალთა შორის, რომელიც ეხებოდა ე.წ. "ვიქტორ დომუხოვსკის ჯგუფის საქმეს". ჯგუფი შედგებოდა გარდაცვლილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეებისგან.

გამოძიების ჩათვლით, საქმე გრძელდებოდა სამ წელზე მეტ ხანს და მოიცავდა ბრალდებებს დაწყებული ჯაბა იოსელიანზე თავდასხმიდან, ფრანგული სუნამოების მოპარვამდე, აგრეთვე მათთვის სასურველი არგანხორციელებული ბოროტმოქმედებების გამო. თვით თარილი კი გამოძიების ოფიციალური დაწყებისა რამდენიმე თვით უსწრებს წინ მასში განხილულ ბოროტმოქმედებებს.

ედუარდ შევარდნაძე სახალხოდ ჰპირდებოდა გამოძიებას დახმარებას, უკმაყოფილო იყო ამ საქმის ანალოგიური "ყვარლის საქმის" მონაწილეთა მიმართ ლმობიერი განაჩენის გამოტანის გამო, სინანულს გამოთქვამდა, რომ მათ მხოლოდ მაქსიმალური ვადით პატიმრობა მიესაჯათ და შეახსენებდა მოსამართლეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლებას.

"რაც ვნახე, ადამიანურობის ზღვარს სცილდებოდა. იგი ვერ მეტყველებდა. ეს იყო დამწვრობებით დაფარული, ძვლებდამტვრეული სხეული. მის მიმართ წამების ყველა მეთოდი გამოიყენეს." - "ემნისტი ინტერნეიშნლ"-ის ბიულეტენმა დაიმოწმა არა რიგითი ადამიანის, არამედ სუკ-ის ყოფილი უფროსის ირაკლი ბათიაშვილის ეს სიტყვები. მან პირადად მოინახულა ამ საქმის ერთ-ერთი ბრალდებულთაგანი, ზაზა წიკლაური. აი, რა ამცნო ამ უკანასკნელმა "ჰიუმან რაითს ვოთჩ"-ს:

"არ მეუბნებოდნენ, რა უნდოდათ. მთელი ღამის განმავლობაში მცემდნენ ფეხებით, მუშტებით, ხელკეტებით, ფეხებით მკიდებდნენ, მირტყამდნენ ფეხისგულებზე, თავში. წარმოიდგინეთ, თქვენ კიდიხართ, ხალხი კი შემოდის და გადის. დროდადრო გონს ვკარგავდი, მაგრამ ისინი სხეულის დაწვით ან წყლით მასულიერებდნენ.

მათ გადაამეტეს - გონს ველარ მოვეგე. ექიმმა თქვა: "საავადმყოფოში თუ არ გადაიყვანეთ, მოკვდება"-ო. გადამიყვანეს საავადმყოფოში... ვერ ვინძრეოდი, მხოლოდ ჯდომა ან გულდაღმა წოლა შემეძლო. დაკითხვები გრძელდებოდა, ათასი ჯურის ადამიანი მოდიოდა. ჩვენებებს მკარნახობდნენ. ჩვენებები იცვლებოდა და იმისდა მიხედვით, თუ როგორ ცვლიდნენ მათ, ბოლოს და ბოლოს ჩემს მიმართ წაყენებული ბრალდებები შეიცვალა. კისრის მარჯვენა მხარეს და ზურგზე მდუღარეს მასხამდნენ... ვუთხარი: "თქვით, რა გინდათ, ყველაფერს მოვაწერ ხელს." ამას ადრეც ვეუბნებოდი. თავიდან იოსელიანის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობის წერილობითი დადასტურება მომთხოვეს. ელექტროშოკის გამომწვევი სადენები მოიტანეს. მინდოდა, ეს გაეკეთებინათ, რადგან უკვე სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ უფროსმა თქვა, რომ მზად ვარ ყველაფერს ხელი მოვაწერო და ელექტროსადენები აღარ დასჭირდათ."

დაპატიმრებიდან სულ მალე გარდაიცვალა მათემატიკის მასწავლებელი ვახტანგ გოქსაძე. მისი სიკვდილისწინა აგონიის სანახავად სხვა პატიმრები მოჰყავდათ. იგი დილის 7 საათზე გარდაიცვალა, თუმცა იმავე დილის 9 საათზე, დოკუმენტების თანახმად, გამომძიებელს თურმე დაუკითხავს ვახტანგ გოქსაძე.

გამოძიების მსვლელობა თავიდანვე განსაზღვრული იყო სატელევიზიო ჩვენებებით, რომლებსაც საგანგებოდ დიდი დრო ეთმობოდა 1992 წლის შემოდგომის წინასაარჩევნო პერიოდში. ერთ-ერთი ასეთი მომნანიებელი, რომლის გრიმით დამუშავებულ ჩამტვრეულ ცხვირს მთელ საქართველოს აჩვენებდნენ, იყო აწ უკვე სიკვდილმისჯილი, ვიდეოინჟინერი ირაკლი დოკვაძე. მას გამუდმებით მხეცურად სცემდნენ, ჩვეულებისამებრ, დილის ორ ან სამ საათზე.

**"ჰიუმან რაითს ვოთჩ":**

"ჩემი შვილები მოიყვანეს. ტერორიზმთან და საბოტაჟთან მებრძოლი განყოფილების ხელმძღვანელმა ბალუაშვილმა მითხრა: "ამათი სიცოცხლე თუ გინდა, ხელი მოაწერე. თქვენ პირველ სართულზე ცხოვრობთ. შევაგდებ ხელყუმბარას და ვიტყვი, რომ ეს გააკეთა ერთ-ერთმა მათგან, ვინც აფეთქებისას ახლობელი დაკარგა." იმ დროს დედაჩემი უკვე დაპატიმრებული იყო. ვიცოდი, მთელ ოჯახს გამინადგურებდნენ."

მოგვიანებით ირაკლი დოკვაძის მამაც დააპატიმრეს. გამომძიებელი ისე ცვლიდა მის ჩვენებებს უფრო სასურველი ჩვენებებით, რომ არც ერიდებოდა დამსწრე ადვოკატს.

ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატთან, ვიქტორ დომუხოვსკისთან ერთად, რომელსაც შემდგომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ტელემონანიებით გამოვიდა მეორე სიკვდილმისჯილი, ახალგაზრდა მეცნიერი პეტრე გელბახიანი. ეს უკანასკნელი სამოქალაქო ტანისამოსიანი ადამიანების დიდმა ჯგუფმა მოიტაცა ბაქოდან და საიდუმლოდ ჩამოიყვანა თბილისში ისე, რომ დაპატიმრების ორდერი არ წარუდგენია. დაპატიმრების მომენტიდანვე მათაც მხეცურად სცემდნენ. პეტრე გელბახიანის დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე აიყვანეს მისი მამა, პროფესორი გედევან გელბახიანი. ორდერის გარეშე მისი დაპატიმრება დაგვირგვინდა 13 წლით თავისუფლების აღკვეთით.

"მიმიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ჩვანოვთან. იქ ნარკოტიკებით კარგად გაბრუებული რამდენიმე მხედრიონელიც იყო, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ, მაშინვე დამიწყეს ცემა.

შუაღამისას მალვიძებდნენ, გამოიყვანდნენ და მცემდნენ. ასე გრძელდებოდა 6 თვე. ვუთხარი: "ყოველი ცემის დროს შევცვლი ჩვენებას". მსგავსი რამ კინოშიც არ მინახავს.

მე აქტიური პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ. დამაპატიმრეს მხოლოდ შვილის გამო, მასზე რომ გასულიყვნენ და ზემოქმედება მოეხდინათ. რო მცემდნენ, სწორედ ამას გაჰყვიროდნენ გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც თა ისას."

საქართველოს უზენაესი სასამარ ლოს წევრები არაოფიციალურად ა არებენ, რომ ამგვარი გარჯით რეალ რად ვერაფერს მიაღწიეს. ერთადერთ სამხილი იყო ბრალდებულთა აღიარე ები, რომლებიც მათ შემდგომში მრ ალგზის უარყვეს, როგორც წამების შ დეგად გამოძალული ჩვენებები.

ბრალდებების დამადასტურებელი ნ ვთმტკიცებების ნიმუშად ასახელებენ ე სპერტიზას, რომელიც გაკეთდა სპეც ალისტის მიერ აფეთქების ადგილის სა ელევიზიო ჩანაწერით დათვალიერებ საფუძველზე. ადვოკატის შეკითხვაზ კონკრეტულად რა სიძლიერის აფეთქებ ჰქონდა ადგილი მათ მიერ დასახელებ ლი ფეთქებადი ნივთიერების გამოყენ ბისას, სპეციალისტი რამდენიმე რიგ მაჩვენებლით შეცდა. ბრალდების მო მეთა ჩვენებები იკითხებოდა მათ დ უსწრებლად, დაპირისპირება განსასჯ ლებთან არ ჩატარებულა. ადვოკატებ დააფიქსირეს გამოძიებისა და სასამ თლოს მიერ სამოცამდე საკანონმდებლ მუხლის უხეში დარღვევა. სასამართლ სხდომების უმრავლესობა ჩატარდა გ სასჯელთა დაუსწრებლად, რომლებ სხდომათა დარბაზიდან გააძევეს წესრ გის დარღვევის საბაბით - ზაზა წიკლ ური, რომელსაც ფეხებით კიდებდნენ მდუღარეს ასხამდნენ, გააძევეს ღიმილ გამო, ხოლო წამების შედეგად სმენ დაკარგული ზურაბ გოგიჩაშვილი იმი თვის, რომ მან ვერ გაიგო როგო ჩაერთო საუბარში მოსამართლე და გ აგრძელა ლაპარაკი.

ბრალდების ერთ-ერთი პირველი პ ქტი იყო ტელევიზიის შენობის აღებ მცდელობა 1992 წლის 24 ივნისს. მეო დღეს ტელეანძასთან აღმოჩენილი იქ 4 მოკლული, რომელთაგან ერთ ამოიცნეს - ეს იყო რევაზ ბროძე რომლის დაპატიმრება წინადღეს ტელ ცენტრის შენობაში ფირზე იქნა გად ებული.

სიკვდილმისჯილმა ირაკლი დოკვაძ თავის მიმართვაში მოუწოდა სხვა პ ტიმრებს უარი ეთქვათ ადვოკატთა მო სახურეობაზე - "იქნებ, ამ გზით მაი შევძლოთ ჩვენი ადვოკატების ხსნა რე ლურად მოახლოებული ტერორისგა ამ საქმეში მონაწილეობა რამდენიმე ა ვოკატს დაუჯდა საადვოკატო მო ვაწეობის უფლების ჩამორთმევის ფასა რიგ შემთხვევაში განსასჯელებს სა თოდ არ ჰყავდათ ადვოკატები. ამ დროს, გედევან გელბახიანის ადვოკა მშვიდად ესწრებოდა მისი დაცვის ქმ მყოფის ცემის მომენტებს.

განაჩენის გამოცხადებას მოჰყვა ს პროტესტო დემონსტრაციები, რომლ საც, ცხადია, არბევდნენ. მთელი ამ ხ მანძილზე სიკვდილმისჯილები არ ითხ ვენ შეწყალებას, რამეთუ თავს არ ცნ ბენ დამნაშავედ. ოფიციალური თბილი დაჟინებით უარყოფს ბრალდების პოლ ტიკურ ხასიათს.

რადიო "თავისუფლება"
რუსული რედაქცია,
პროგრამა "პერეპრავა"
20-21 აგვისტო, 1995

**რედაქციისგან: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილ "ახალგაზრდული ანტიფაშისტური ქმედების" ამ განცხადებ ბოლო ნაწილი დაეთმო ახალ პოლიტპატიმართა - ზვიად კობა ძიძიგურების, ვაჟა წერეთლის, გიორგი ყორბესაშვილ და ზაზა დანელიას საქმეს, მათ მიმართ დაშვებულ სამართა დარღვევებს. გაუგებარი მიზეზით, რადიო "თავისუფლებ რედაქციამ ეს მონაკვეთი ეთერში არ გაუშვა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოროტების ექსპერიმენტული ლაბორატორია

**დღეს აქა-იქ გაისმის ხმები, რომ პენიტენციარული სისტემა საქართველოში სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს და ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას ახორციელებენ შესაბამისი სამმართველოები და უწყებები, მაგრამ საბჭოურ სადამსჯელო სისტემას, რომელიც თავისი არსებობის ათწლეულებს ითვლის, ზედაპირული კოსმეტიკური მანიპულაციები ვერ უშველის. 80-იანი წლების მონაცემებით, ბოლო 50 წლის მანძილზე სსრკ-ს ტერიტორიაზე პატიმართა და ყოფილ პატიმართა რაოდენობა შეადგენდა აქტიური მოსახლეობის 20-25 პროცენტს. ამას უნდა დავუმატოთ საზოგადოების ის დიდი ნაწილიც - პატიმართა ახლობლები, ნათესავები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და ა.შ., - რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართულია პენიტენციარულ სისტემაში.**

## "ციხის კანონები" საზოგადოებაში

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ "ციხის კანონები და სამართალი" თავისი აუცილებელი ატრიბუტებით (ჟარგონითა და რიტუალებით) სცდება საპყრობილეების ფარგლებს, ფეხს იკიდებს ჩვენს დღევანდელობაში და გავლენას ახდენს გარეთ მყოფი ადამიანების ურთიერთობებსა და ფსიქიკაზე.

ჩვენდა საუბედუროდ, საქმე მხოლოდ ამ "ციხისეული კულტურის" საპყრობილეებს ფარგლებს გარეთ განვრცობაში არ არის. ადამიანები, რომლებმაც გამოიარეს საბჭოური პენიტენციარული სისტემის ჯოჯოხეთი, თავის თავზე გამოსცადეს სადამსჯელო დაწესებულებების რეჟიმი და ბრძოლა არსებობისთვის, სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეს არ ეხება მხოლოდ წმინდა კრიმინალურ სფეროს. სხვადასხვა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ დღევანდელ "ცხელ წერტილებში" მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებებში უმრავლესობას წარმოადგენენ ყოფილი პატიმრები - ძირითადად ისინი, ვინც თავი დააღწია (ხშირად გაქცევითაც კი) საპატიმრო ადგილებს. ამას გარდა, როგორც წესი, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების ბირთვებს ყოფილი მსჯავრდებულები შეადგენენ. იგივე შეიძლება ითქვას ლეგალური კომერციული სტრუქტურების შესახებაც - ამ სისტემაში ყოფილი პატიმრები გვევლინებიან არა მხოლოდ მცველებად ან პირადი დაცვის წევრებად, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ამ სრტუქტურების ლიდერებადაც კი. ადამიანები, რომელთაც საბჭოური პენიტენციარული სისტემის წყალობით დიდი კრიმინალური გამოცდილება შეიძინეს და გადაურჩნენ მას, სულ უფრო და უფრო ხშირად თამაშობენ ერთგვარი მედიატორების, შუამავლების როლს სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებსა და ფირმებს შორის წარმოქმნილ საკონფლიქტო სიტუაციებში. სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ სწორედ მათ და არა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავენ გაჭირვებაში ჩავარდნილი ბიზნესმენები.

გადავხედოთ საბჭოური პენიტენციარული სისტემის ისტორიას და დავრწმუნდებით, რომ მას მცირეოდენი ცვლილებაც კი არ განუცდია. დღესაც ამ ლენინურ-სტალინური საპყრობილეებისა და ბანაკების სტრუქტურამ თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე, დაწყებული ეკლიანი მავთულხლართებით, საგუშაგოების კოშკებით, ყოფითი პირობებით და დამთავრებული ადმინისტრაციის თვითნებობით, პატიმართა ერთი ჯგუფის წაქეზებით მეორე ჯგუფის წინააღმდეგ, ჯაშუშობისა და დამსმენთა ინსტიტუტით, პატიმართა და ადმინისტრაციის დაპირისპირებით... მიზანი კი, როგორც იმ შორეულ წარსულში, ერთია - ადამიანში პიროვნების ნგრევა, მისი გარდაქმნა მორჩილ მონად, უნებისყოფო იარაღად. ესაა ყოველი დესპოტური, ტოტალიტარული სისტემის იდეოლოგია და ამოცანა - დაბეჩავებული, მორალურად და ფიზიკურად განადგურებული ხალხის მართვა გაცილებით უფრო ადვილია.

## საკონცენტრაციო ბანაკების სათავეებთან

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, 1918 წლის თებერვალში ლენინმა დაჟინებით მოითხოვა საპატიმრო დაწესებულებების რიცხობრივი გაზრდა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ რეპრესიების გაძლიერება და ბოროტმოქმედთათვის საპატიმრო ვადების გაგრძელება.

1918 წლის აგვისტოში კი ლენინმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელშიაც თანამებრძოლთ მოუწოდებდა "დაუნდობელი მასობრივი ტერორის მოწყობას - ყველა საეჭვო პირის საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირებას". ამგვარად, დიდი რაოდენობის დამნაშავეთა ერთად მოთავსება მცირერიცხოვან სადამსჯელო რაზმებს უადვილებდა მათ დამუშავება-დამორჩილებას. აი, სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი მე-20-ე საუკუნის სახელგანთქმულ საკონცენტრაციო ბანაკებს!

1919 წლის მარტში რუსეთის კომპარტიის მე-8-ე ყრილობაზე მთელი სერიოზულობით დაისვა საკითხი შრომა-გასწორებითი კოლონიების ფორმირების შესახებ. უკვე აპრილ-მაისში დაიწყო პირველი ამგვარი ბანაკების ჩამოყალიბება. როგორც წესი, ამ ბანაკების უმრავლესობა ძველი ციხესიმაგრეებისა და საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსების ტერიტორიაზე იქმნებოდა... რევოლუციის პირველსავე წლებში ბანაკები გაივსო ე.წ. კლასობრივი მტრებითა და სამხედრო ტყვეებით. როგორც იგონებენ ყოფილი პატიმრები თუ მოხელეები, პატიმართა დღის რაციონი შედგებოდა ნახევარი ფუნტი პურისგან, ადუღებული წყლისა და "ბალანდისგან" (თხელი, წყალწყალა ფაფა). ბანაკების ცხოვრების წესი კი ასეთი იყო: ოფიციალურად 8 სთ-იანი სამუშაო დღე (რეალურად, სამუშაო დღე გრძელდებოდა 10-12 სთ).

კოლონიების რეჟიმის ინსტრუქცია არ არსებობდა, სამაგიეროდ, მოქმედებდა დაუწერელი კანონი, რომ ბანაკის უფროსი და ადმინისტრაციის ყველა წევრი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა, ყველაფრის გაკეთება შეეძლო პატიმრისთვის თავისი ნება-სურვილისა და განწყობილების შესაბამისად. პრივილეგირებული ფენა, რომელიც სარგებლობდა გარკვეული უფლებებით, იყო ჯაშუშებისა და პროვოკატორების კასტა.

კოლონიებში პატიმართა მიღება ხდებოდა გამოხატული აგრესიულობით, ბანაკებში შემოსვლის პირველსავე საათებიდან იწყებოდა რესპრესიები, დასჯა, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა ახლადმოსულის ნების გასატეხად. ამ ზონებში დამნაშავეთა დამორჩილების მთავარი იარაღი იყო შიში!

1928 წელს ხელისუფლებამ არასაკმარისად მკაცრად ჩათვალა სადამსჯელო დაწესებულებებში არსებული ღონისძიებები და დაადგინა რეჟიმის გამკაცრება. მავანთა გენიალური აღმოჩენა გახდა პატიმრის მონური და იაფი შრომის სახელმწიფო კეთილდღეობისთვის გამოყენების შესაძლებლობა. ამ მომენტიდან პენიტენციარული დაწესებულებების რიცხვმა მკვეთრად იმატა.



## ყველა ერთის დანაშაულისთვის

ამავე წლების მეორე გენიალური მიგნება იყო კოლექტიური ცნობიერების შექმნის აუცილებლობა. კოლექტიურობა ცნეს შრომა-გასწორებითი პოლიტიკის ქვაკუთხედად, მხოლოდ კოლექტივზე დაყრდნობით იყო შესაძლებელი ათასობით პატიმრის მართვა ადმინისტრაციის მცირე ჯგუფის მიერ. კოლექტივი გამოცხადდა "დამნაშავე ელემენტების ცნობიერების გარდაქმნის აუცილებელ ატრიბუტად". ერთ-ერთი ცნობილი ლოზუნგი, რომელიც დღესაც წარმატებით მოქმედებს (თუმცა აღარ ამშვენებს თანამედროვე კოლონიების ტერიტორიებს), იყო - "კოლექტივი ადამიანური ღირსების გრძნობას აღვივებს პატიმარში და ხელს უშლის მის პიროვნულ მორალურ დაცემას!"

ამ დროიდან მომდინარეობს დღემდე აქტუალური საბჭოური პრინციპი - ყველას დასჯა ერთის დანაშაულისთვის. კოლექტივი ხომ ცალკეულ პიროვნებაზე და მის შეცდომებზეც აგებს პასუხს. არავის სურს სხვისი დანაშაულისთვის დაისაჯოს, ამიტომაც, კოლექტივი არ იძლევა შეცდომების დაშვების შესაძლებლობას.

სოლჟენიცინი "გულაგის არქიპელაგ"-ში აღწერს ასეთ შემთხვევას: 1947 წელს მოსკოვის ახლოს მდებარე ქალთა კოლონიიდან გაიქცა პატიმარი. გაცეცხლებული კოლონიის უფროსი საშინელი რეპრესიებით დაემუქრა მთელ ზონას. მუქარით შეშინებული ქალები მოითხოვდნენ გაქცეულის დასჯას და დასახიჩრებას. მხოლოდ ერთმა ამოიოხრა: "ბედნიერი, ჩვენს ნაცვლად მაინც იჯერებს გულს თავისუფლებით"-ო. ზედამხედველმა გაიგონა ქალიშვილის ნათქვამი და იგი მთელი ღამე დააყენა სუსხსა და სიცივეში.

## ტრადიციის გაგრძელება

სტალინურმა რეჟიმმა სრულყო "ბოროტების ექსპერიმენტული ლაბორატორიები", არნახული გაქანება მისცა დამსმენთა აპარატის განვითარებას. ლენინურ-სტალინური პენიტენციარული სისტემა დღემდე მუშაობს - ათწლეულების მანძილზე მოქმედმა დაუნდობლობამ, სისასტიკემ, არაადამიანურობამ აღზარდა საზოგადოების სრულიად განსაკუთრებული ფენა, რომელსაც მხოლოდ იმის შესრულების უნარი აქვს, რაზედაც არის ორიენტირებული სადამსჯელო სისტემა, ანუ გახდეს პატიმართა დასჯის, დაბეჩავების იარაღი. სწორედ ამ ფენას წარმოადგენენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, რომლებიც შეუზღუდავი უფლებებით და ხელისუფლების აბსოლუტური ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

უცხოელ დამკვირვებლებსა და ექსპერტებს ყოველთვის ანცვიფრებს საბჭოთა პენიტენციარული სისტემის შესაძლებლობები. მხოლოდ ამ სისტემაშია დასაშვები პატიმრის ხელახალი დაპატიმრება, მსჯავრდებულის ხელახალი გასამართლება და ხელახალი საპატიმრო ვადის დადგენა. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს პატიმრის ნებისმიერი საქციელი, რომელიც არ მოეწონება სადამსჯელო დაწესებულებების ადმინისტრაციას: კარგად არ მიესალმა კოლონიის უფროსს, კარგად არ გაასწორა ლოგინი, იმ ბილიკზე არ გაიარა, რომელზეც შეიძლება გავლა, პერანგის ბოლო ღილი ჰქონდა გახსნილი, ზედმეტი ნივთი ჰქონდა საცხოვრებელ კორპუსში და მრავალი სხვა.

კოლონიებში იმთავითვე დასჯის რამდენიმე ხერხი არსებობდა: პირველ რიგში - კარცერი;

"შიზო"- საჯარიმო იზოლატორი - სპეციალური შენობა, სადაც განლაგებულია რეჟიმის დამრღვევთა საკნები. მასში მოთავსებული პატიმარი მკაცრად შეკვეცილი უფლებებით სარგებლობს, 20-იანი წლებიდან 1988 წლამდე "შიზო"-ში მოქმედებდა კვების დაქვეითებული ნორმა - ე.წ. წამება შიმშილით. "სტალინური რაციონი" შედგებოდა 300 გრამი პურისგან და ცარიელი "ბალანდისგან", რომელსაც პატიმარს აძლევდნენ დღეგამოშვებით. ამას გარდა, პატიმარს ართმევდნენ თბილ ტანსაცმელს, არ გაპყავდათ სასეირნოდ, არ აწვდიდნენ თეთრეულს, ლეიბს, ამანათებს. 1992 წლიდან შემოიღეს "შიზო"-ში ცხოვრების შეზღუდული დრო - ერთჯერადი მოთავსებიდან 15 დღემდე. საერთო ვადა კარცერში ყოფნისა შეიზღუდა წელიწადში არა უმეტეს ორი თვით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს შეზღუდვები არ მოქმედებს;

"ბურ"-ი - გაძლიერებული რეჟიმის სათავსო, სადაც პატიმრებს კეტავენ ხანგრძლივი დროით - ესაა ბანაკში განლაგებული შინაგანი ციხე, რომელშიაც ათავსებენ დისციპლინის უხეშ დამრღვევთ. "ბურ"-ი შეიქმნა 20-იან წლებში, 60-იან წლებში ის შეცვალა "პკტ"-მ - საკნის ტიპის სათავსომ. 1992 წლიდან მასში ყოფნის საერთო ვადა განისაზღვრა 6 თვით.

## "კოლონიური" ნომენკლატურა

როგორც იხსენებენ დისიდენტები და ყოფილი პატიმრები, ყველა დროის კოლონიისა და დასახლება-ბანაკების უფროსები საოცრად ჰგავან ერთმანეთს, პირველ რიგში თავისი ამპარტავნებით, იმის შეგრძნებით, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, ყველა ემორჩილებათ, ყველაზე დიდი თანამდებობა აქვთ, ყველაზე კარგად აცვიათ, ყველაზე მაღალი სამხედრო წოდება აქვთ, ყოველი მომჩივანი მათთან ცრუობს, მხოლოდ ისინი - არიან მართალნი. კოლონიის უფროსები გამოირჩევიან, აგრეთვე, თვითკმაყოფილების გაზვიადებული გრძნობით - თავისი ძალაუფლების უზომო სიყვარულით, მათ აქვთ საკუთარი ტერიტორიის აშკარად გამოხატული განცდა - კოლონია თავისი კონტინგენტით არის მათი საკუთრება, სამწყსო, ტერიტორია, სადაც ისინი ერთადერთ მბრძანებლებს წარმოადგენენ. ყოფილი პატიმარი წერს: "კოლონიის უფროსი ნამდვილი მფლობელია თავისი მამულისა, ის არის ხელისუფალი ამ ტერიტორიაზე".

სოლჟენიცინი აღწერს ასეთ დიალოგს სხვადასხვა კოლონიის ორ უფროსს შორის: ერთი იკვეხნის - "მე პროფესორს აბანოში ვამუშავებ", მეორე კი თავმომწონედ პასუხობს - "ჩემთან კი აკადემიკოსი ტუალეტებს ალაგებს"...

ამ განსაკუთრებული ფენის წარმომადგენელთა კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა უსაზღვრო სიხარბე, მოთხოვნილებად ქცეული მითვისების უნარი, რაც გამოიხატება ყველაფრიდან გამორჩენის პოვნაში: პატიმრის საკვები ნორმის მითვისება, კოლონიებისთვის განკუთვნილი საშენი მასალის გატანა. მთელი ადმინისტრაცია სიამოვნებით ითვისებს პატიმრისთვის განკუთვნილ ნივთებს, იღებს მისგან და მისი ოჯახის წევრებისგან გასამრჯელოს ფულით თუ ნატურით. აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, რას წაართმევ პატიმარს. მთავარია, რამე წაგლიჯო, დაჩაგრო, მიაყენო შეურაცხყოფა, თუნდაც სიტყვიერი, აჩვენო შენი პრივილეგია.

ყველა უფროსი თვლის, რომ პატიმართან ერთიერთობისას საჭიროა მის მიმართ მოიქცე მკაცრად, დაუნდობლად. როგორც ჩანს, უსაზღვრო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისი შეუფერხებლად გამოყენება ნოყიერ ნიადაგს უქმნის ყოველგვარ უკეთურს და ბოროტს.

თუ გადავხედავთ ისტორიას, დავინახავთ, რომ, როგორც წესი, რბილ და სამართლიან უფროსს სასწრაფოდ ცვლიდნენ. ხშირ შემთხვევაში, თვითონ ვერ ჩერდებოდა "ბოროტების ლაბორატორიებში". კომუნისტებს კარგ უფროსად მიაჩნდათ ის ოფიცერი, რომელიც ყველაზე მეტ სისასტიკესა და დაუნდობლობას იჩენდა პატიმრის მიმართ.

20-50-იანი წლების პენიტენციარული სისტემის პრაქტიკა გრძელდება 80-იან წლებშიც. საბჭოთა სისტემა ზვეწდა თავის სადამსჯელო სტრუქტურებს - "ბანაკებში იდეოლოგიური მუშაობა პირიქით მიმდინარეობს", - წერს 1987 წლის მიწურულს ერთ-ერთი პატიმარი,-"ყველგან იგრძნობა წარსულის ბოროტი სული, ადმინისტრაციისთვის არ არსებობს არავითარი კანონი, არსებობს მხოლოდ ძალაუფლება - ავადმყოფური, ყველაფრის მომსპობი, რომელსაც გამუდმებულ დაპირისპირებამდე მივყავართ თვით ადმინისტრაციის მუშაკთა შორისაც კი..."

ერთ-ერთ პატიმარ ქალს მოჰყავს ზონის უფროსის ყოველდღიური ფრაზა: "პროკურორი წავა და მოვა, მე კი აქ ვრჩები".

კოლონიის უფროსისთვის, როგორც წესი, არ არსებობს ისეთი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც პატიმარს რაიმე უფლებას აძლევს. მსჯავრდებულთან ურთიერთობა განისაზღვრება ლანძღვით, მიმართვის ფორმა კი - უცენზურო გინებით. ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენელი კანონსაც თავისებურად, თავის სასარგებლოდ იგებს: "საერთოდ, ადმინისტრაცია შედგება ადამიანებისგან, რომელთაც კარგა ხანია და უკვე მრავალგზის გადააბიჯეს კანონის ზღვარს!"- წერს პატიმარი 90-იანი წლების დასაწყისში.

და კიდევ ერთი საოცრად ნაცნობი შტრიხი: "კოლონიის უფროსის გუნება-განწყობილება განისაზღვრება იმით, თუ რომელ ფეხზე ადგა დილით... კოლონიაში დილიდან ისმის მისი საშინელი ყვირილი, ღრიალი, თუნდაც ბამბა ჩაიდე ყურებში. თვალში არ უნდა მოხვდე, თორემ უსიამოვნება არ აგცდება". და მეორე ფრაგმენტი: "...სიტყვის მიცემა, შემდეგ კი მისი დავიწყება და გატეხა, დაპირების არშესრულება - უფროსისთვის დაუწერელი კანონია".

ბანაკის უფროსისთვის დამახასიათებელი თვისებები, მათი საქციელი - განზოგადებას პოვებს ადმინისტრაციის მთელ შტატზე - ოპერატიული თანამშრომლები, რეჟიმის უფროსები, ოფიცრები და რიგითები ხელს უწყობენ კოლონიებში გაუსაძლისი პირობების შექმნას - დამსმენთა აპარატის გაზრდა-გაძლიერებას, პატიმრებს შორის შუღლის გაღვივებას, ცნობილი პრინციპის - "გათიშე და იბატონე"-ს განხორციელებას. გავიხსენოთ საბჭოურ პენიტენციარულ სისტემაში დამკვიდრებული კიდევ ერთი ტრადიცია - ციხეებისა და კოლონიების მთელი ადმინისტრაცია წარმოადგენს საერთო საქმით გაერთიანებულ ნათესაური ან მეგობრული ურთიერთობების ქსელს. ამდენად, მთელი ეს უზარმაზარი ორგანიზაცია ერთმანეთშია გადახლართული, კოლონიის უფროსიდან პროკურატურამდე და უფრო ზევითაც... ესეც ფრიად ნაცნობი კავშირია.

კოლონიის უფროსების განსაკუთრებულ ფენომენზე საუბარი გვინდა ამ კასტის ერთ-ერთი წარმომადგენლის პატიმრებთან ტიპიური დამოკიდებულებით დავასრულოთ: ზონის უფროსმა დაიჩივლა - "მუშაობა შეუძლებელი გახდა...სამი წლის წინათ ორი ათასი მსჯავრდებული მყავდა, სამ ცვლად ვამუშავებდი მთელი დატვირთვით...ახლა სულ 600 პატიმარი მყავს - ძლივსღა მყოფნის ერთ ცვლაზე. რას ფიქრობენ სამართალდამცავი ორგანოები გარეთ?! რამდენი უსაქმური დაეხეტება..." -ესაა თავისი სამსახურისადმი საქმიანი, ნორმალური მიდგომა.

**ნინო ჩეჩელაშვილი**

(გაგრძელება იქნება)

## ისევე, როგორც საქართველოში

# გამოუცნობი მკვლელობების სერია ტაჯიკეთში

ტაჯიკეთის ქალაქ კურგან-ტიუბეში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი მოვლენები სულ უფრო გვაგონებს მაფიოზურ ანგარიშსწორებებს ფილმიდან "ნათლიმამა". რა ხანია აქ უკვე გრძელდება ნამდვილი ომი შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის. ურთიერთობებს არკვევენ არა უბრალოდ კრიმინალური კლანები, არამედ სრულიად ლეგალური სახელისუფლებო ფორმირებები - ტაჯიკეთის თავდაცვის სამინისტროს მე-11 და 1-ლი ბრიგადა.

თავიდან ოფიციალური ხელისუფლება ცდილობდა თვალი დაეხუჭა ამ კონფლიქტზე, სანამ 12 ივნისს უცნობი მკვლელის მიერ ავტომატური იარაღით არ იქნა მოკლული ოლქის ერთ-ერთი "ნათლიმამა", ტაჯიკეთის პარლამენტის 29 წლის დეპუტატი, იზატ კუგანოვი. ბოლო სამი წლის მანძილზე, დეპუტატის ხელშეუხებლობით დაცული პოლკოვნიკი ფაქტობრივად აკონტროლებდა კურგან-ტიუბედან ბამბის ექსპორტის უდიდეს წილს, ადგილობრივ ნავთბაზას, ხორცკომბინატს და სხვა შემოსავლიან სფეროებს. არ არის გამორიცხული, რომ დეპუტატის მკვლელობის ნამდვილი მიზეზი გახდა სწორედ გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლა.

"იზატოველებმა" ფიცი დადეს, შური იძიონ თავიანთი მეთაურის მკვლელობისთვის და ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს: დააპატიმრონ და სასტიკად დასაჯონ მკვლელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩეჩნეთისა და ბუდიონოვსკის მოვლენები ტაჯიკეთის მთავრობას ბავშვურ თამაშობებად მოეჩვენება, განაცხადეს მე-11 ბრიგადის შტაბში.

სამხედროების მუქარას უკვე მოჰყვა ქმედება: ერთ-ერთი დაჯგუფების მიერ მძევლად იქნა აყვანილი საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე აკობირ ოდინაევი. კურგანში სასწრაფოდ გადმოისროლეს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დამატებითი ძალები.

კონფლიქტის განვითარებას პირადად აკონტროლებს ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომალი რახმონოვი. მისი მითითებით, ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული მოვლენებში. ოლქის ცენტრში განლაგებული რუსეთის არმიის 201-ე მოტომსროლელი დივიზიის პოლკი ყაზარმულ მდგომარეობაშია გადაყვანილი.

"კომსომოლსკაია პრავდა", №120, 1995

# თავდასხმა ტახტის მემკვიდრეზე

3 ივლისს, ბაქოში უცნობმა პირებმა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან დაცხრილეს პრეზიდენტის კორტეჟი, რის შედეგადაც დაიღუპა დაცვის რამდენიმე წევრი. თავად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი მანქანაში არ მჯდარა. მის მაგივრად პრეზიდენტის თავდაცვის ზომებით სარგებლობდა მისი შვილი ელხანი, ნავთობის სახელმწიფო კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი. იგი შოკურ მდგომარეობაში სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი სახლში, რის შემდეგაც ხალხში აღარ გამოჩენილა.

აზერბაიჯანის ოფიციალური ხელისუფლება არ ადასტურებს, მაგრამ არც უარყოფს ამ ინფორმაციას, თუმცა ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ პრეზიდენტი ალიევი აზერბაიჯანის ტელევიზიით უცნაური განცხადებით გამოვიდა: "თუკი მე მომკლავენ, დაე იცოდნენ, რომ მე მყავს ვაჟი, ხოლო მას კიდევ ვაჟი ეზრდება".

როგორც ინფორმირებული მეთვალყურეები აღნიშნავენ, ეს განცხადება შეიცავს მინიშნებას კონსტიტუციის ახალ პროექტზეც, რომელსაც ამჟამად ამუშავებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. იგი ითვალისწინებს აზერბაიჯანში მემკვიდრეობითი ხელისუფლების დამყარებას. რაც შეეხება თავდასხმას, მას უკავშირებენ დამოკიდებულებების გამწვავებას აზერბაიჯანის მმართველ კლანში, კერძოდ, პარლამენტის სპიკერს რასულ გულიევსა და თავად პრეზიდენტს შორის. ალიევების ოჯახი გეგმაზომიერად ეწევა გულიევის განდევნას ნავთობპროდუქტების წარმოებისა და გაყიდვის სფეროდან, რომელიც აქამდე მის "სამწყსოდ" ითვლებოდა.

"არგუმენტი ი ფაქტი", №28, 1995

# კუჩმას ავადმყოფობა გასაიდუმლოებულია

კიევში ბევრს ლაპარაკობენ პრეზიდენტ კუჩმას ავადმყოფობაზე - ბოლო დროს იგი ნაკლებად ჩნდება ხალხში. ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა ბელორუსიაში დაგეგმილი ვიზიტის გადადებამ და ყირიმის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან დახურულ კარს მიღმა ჩატარებული შეხვედრიდან გამოსულმა ჭორმა, რომ პრეზიდენტი აშკარად არ არის ჯანმრთელად და შეხვედრის დროს ძლივს ლაპარაკობდა.

თავის დროზე კუჩმას გადაუტანია ოპერაცია ფარისებრ ჯირკვალზე და ახალი ჭორები ადასტურებს ამ დიაგნოზს. მიუხედავად ამისა, ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ უკრაინის პრეზიდენტს აქვს ფოლიკულარული ანგინა და სხვა არაფერი.

"კომსომოლსკაია პრავდა", №128, 1995

---

# პრესის თავისუფლებისთვის

**დღეს, ფაქტობრივი რეჟიმის თითქმის ოთხწლიანი დიქტატურის პირობებში, საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას პრესის, სიტყვის თავისუფლების საკითხი წარმოადგენს. არ ვარყოფთ, რომ რესპუბლიკაში გამოდის დამოუკიდებელი გაზეთები. შეიმჩნევა ოპოზიციური განწყობა იმ გამოცემებშიც კი, რომელნიც ტაშისკვრით თუ არა, ჩუმი დასტურით შეხვდნენ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სისხლიან მოვლენებს, სამხედრო გადატრიალების გზით კანონიერი ხელისუფლების სამშობლოდან გაძევებას. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამინდელ საქართველოში არსებობს პრესის, სიტყვის რეალური, ჭეშმარიტი თავისუფლება? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენში დღეს არსებული ეს "თავისუფლება" სიტყვისა მეტად ზედაპირული, თუ გნებავთ, ბუტაფორულიც კი გახლავთ... გარეშე თვალის მოსატყუებლად. ჭეშმარიტად ოპოზიციურ, მკვეთრად ჩამოყალიბებული ეროვნულ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე გამოცემებს რაც შეეხება, ფაქტობრივი რეჟიმი მუდმივად ცდილობს მათი საქმიანობის შეზღუდვას: არცთუ იშვიათი მოვლენაა ამა თუ იმ გაზეთში გამოქვეყნებული, სახ. მეთაურისა და მისი გუნდისთვის არასასურველი პუბლიკაციის გამო რედაქციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გაზეთების კერძო, ოფიციალურ გამავრცელებელთა დარბევა...**

ჟურნალ "კურიერ იუნესკო"-ს 1990 წლის ნოემბრის თვის ნომერი, საერთო სათაურით "მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფლების გზაზე", თითქმის მთლიანად ზემოხსენებულ პრობლემას მიეძღვნა. გთავაზობთ განსაკუთრებით საგულისხმო ადგილებს ამ გამოცემის პუბლიკაციებიდან იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ნიშნავს პრესის ჭეშმარიტი თავისუფლება და რამდენად არის დაცული იგი ამჟამინდელ საქართველოში.

### უფლება თუ მოვალეობა?

მეტად საინტერესო სტატია "უფლება თუ მოვალეობა?" ეკუთვნის ცნობილ ბელგიელ იურისტსა და პუბლიცისტს, ბელგიის ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს, "იუნესკოს"-ს ექსპერტს, ქ-ნ პატრიცია ვილჰელმს.

"დაცული იქნეს პროფესიული საიდუმლო და არ იქნეს გამხელილი კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო."- გვაუწყებს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ 1972 წ. მიღებული დეკლარაციის მეშვიდე მუხლი. ეს მოვალეობა უნდა განვიხილოთ ამავე დეკლარაციის პირველ მუხლთან მიმართებაში: "ჟურნალისტები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციის ნებისმიერ წყაროზე, დაუბრკოლებლად მიიღონ ცნობები ნებისმიერ მოვლენაზე, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეეხება. ამდენად, საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების საიდუმლოს შენახვის აუცილებლობა შეიძლება გახდეს ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის საბაბი მარტოოდენ გამონაკლის შემთხვევაში და მკვეთრად ჩამოყალიბებულ მიზეზთა არსებობისას"...

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში ვკითხულობთ: "ყოველ ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება; ეს უფლება გულისხმობს საკუთარი რწმენისადმი ერთგულებას და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად, ინფორმაციის და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას." მაგრამ, ოფიციალური წრეები და ორგანოები იოლად ელევიან ამ უფლებას მაშინ, როდესაც საქმე სხვა კოლექტიურ (სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა) ან ინდივიდუალურ (ცილისწამების შესახებ საქმეთა განხილვისას პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლება) უფლებებს შეეხება.

აქედან გამომდინარეობს ორი დასკვნა. ჯერ ერთი, ითხოვენ რა საკუთარი ინფორმაციის წყაროების დაცვას, ჟურნალისტები პირადი პრივილეგიების მოსაპოვებლად არ ზრუნავენ, საზოგადოებას ჰარმონიული და ნორმალური განვითარებისთვის მათზე გაცილებით მეტად სჭირდება პრესისა და სიტყვის თავისუფლება. ჟურნალისტები მხოლოდ საინფორმაციო ჯაჭვის ერთ მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ. წყაროს დაცვა ფართო საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების საერთო უფლების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამდენად, საზოგადოება მხოლოდ იგებს ჟურნალისტთა ამ უფლების აღიარებით.

მეორე, - საკუთარი რწმენის ქონისა და მისი გამოხატვის უფლება, ისევე, როგორც უფლება ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა, - ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. ამიტომ, ინტერესთა დაპირისპირებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ინფორმაციის შესახებ უფლება ეხება მთელ საზოგადოებას და ყოვლად დაუშვებელია, რომ მას მიუდგნენ როგორც რაღაც "მეორეხარისხოვანს"...

ავსტრიაში 1982 წლის იანვარში მიღებული კანონი ჟურნალისტს ანიჭებს უფლებას უარი თქვას სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, აგრეთვე ათავისუფლებს აუცილებლობისგან ადმინისტრაციული წესით პასუხი გასცეს შეკითხვებს იმ პიროვნების შესახებ, ვისაც მისთვის მიწოდებული აქვს ესა თუ ის ინფორმაცია. ეს უფლება ვრცელდება აგრეთვე გამომცემლებზე და ყველა იმ პიროვნებაზე, რომელიც მოღვაწეობს მასობრივი ინფორმაციის სფეროში ან სტამბა-გამომცემლობებში.

ანალოგიური უფლება გათვალისწინებულია შვედურ კანონმდებლობაში, იმ განსხვავებით, რომ იგი უბრალოდ ვალდებულს ხდის ჟურნალისტებს დაიცვან სიჩუმე მათთვის ცნობების მიმწოდებელ პიროვნებაზე, ანონიმურობის დაცვის მიზნით.

ავსტრიის კანონმდებლობა კრძალავს ჩხრეკას არათუ რედაქციებში, არამედ ყველა საგამომცემლო სათავსოში, სტამბისა და დატარების განყოფილების ჩათვლით, აგრეთვე სარედაქციო მასალების: ხელნაწერების, ფოტომასალის, კინოფირების, აუდიოჩანაწერების და კომპიუტერული ინფორმაციის კონფისკაციას. ეს აკრძალვა ვრცელდება ჟურნალისტებისა და მასობრივი კომუნიკაციების სფეროში მომუშავე სხვა პირთა ბინებზე.

ამდენად, ნებისმიერი კანონი, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის წყაროს დაცვას, უნდა ვრცელდებოდეს:

- მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებაზე: გაზეთებზე, ჟურნალებზე, რადიო და ტელე მაუწყებლობაზე, საინფორმაციო სააგენტოებზე, ელექტრონულ სამსახურებზე;
- ინფორმაციის ყველა სახეობაზე: ხელნაწერებზე, ფოტოსურათებზე, აუდიო და ვიდეოკასეტებზე, კომპიუტერულ მასალებზე;
- ყველა პიროვნებაზე, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავებასთან: გამომცემლებზე, ჟურნალისტებზე, ხელმძღვანელ თანამშრომლებზე, ტექნიკურ პერსონალზე, სტამბის მუშაკებზე.

"კანონი უნდა კრძალავდეს ჩხრეკას და მასალების კონფისკაციას სამსახურებსა და ჟურნალისტების, მასობრივი კომუნიკაციების სფეროს სხვა მუშაკთა საცხოვრებელ ბინებში." - ვკითხულობთ ბელგიელი ავტორის სტატიაში.

### კერძო ცხოვრების საზღვრები

ასევე საყურადღებოა ფართოდ ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტისა და მწერლის, გაზეთ "გარდიანის" მთავარი რედაქტორის მოადგილის, ბ-ნ ჯონათან ფენბის წერილი "კერძო ცხოვრების საზღვრები".

"პრესის თავისუფლების დეკლარირების მიუხედავად, პოლიტიკოსები ხშირად მას პრაქტიკაში აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევენ. ბუნებრივია, ძლიერთ ამა ქვეყნისა სრულებითაც არ სურთ, რომ მათი წარუმატებლობა, პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და ფარული მაქინაციები ფართო განხილვის საგნად იქცეს. იოლად ასახსნელი, მაგრამ ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებული წყურვილი ხელისუფლებისა - განსაზღვროს მოსახლეობისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი, ბევრ დემოკრატიულ სახელმწიფოში იმითაც არის განპირობებული, რომ პრესა, რადიო და ტელევიზია ოპოზიციურად არის განწყობილი იმათ მიმართ, ვინც ხელისუფლების სათავეში არის მოქცეული...

ხელისუფალთა მიერ ჩადენილი დარღვევების გამოძიებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი სიმშვიდეს უფრთხობს მათ, ვისაც სურს დაემალოს საზოგადოების მახეილ მზერას...

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს არ უნდა ჰქონდეთ ხელისუფლების მპყრობელთა მხრიდან თბილი დამოკიდებულების იმედი... მხილებისა და ძიების პროცესში მათ უწევთ ჩაღრმავება ისეთ სფეროებში, სადაც ბევრი საჩოთირო საკითხი წამოიჭრება, საკითხები, რომლებიც პირად ცხოვრებას უკავშირდება. ამიტომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აბსოლუტურად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათი უკომპრომისობა საზოგადოების ინტერესებით არის გამართლებული, საზოგადოებისა, რომლის უსაფრთხოებისთვისაც ისინი ზრუნავენ. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მყარი ნიადაგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი რისკის ქვეშ აყენებენ საკუთარ რეპუტაციას და ახდენენ კონტროლის დაწესების პროვოცირებას იმ პირთა მხრიდან, რომელთათვისაც ინფორმაციის თავისუფლება გახლავთ არა კეთილდღეობის წყარო, არამედ სამწუხარო რეალობა"-ო. - აღნიშნავს ინგლისელი ჟურნალისტი.

### ბრძოლა კულტურისთვის

დაბოლოს, ვფიქრობთ, მეტად საყურადღებოა გამოჩენილი პერუელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მარიო ვარგას ლიოსას წერილი "ბრძოლა კულტურისთვის".

"იმისათვის, რათა წარმატებით გადაიჭრას ამქვეყნიური საარსებო პრობლემები, ნებისმიერმა ქვეყანამ, უპირველესად ყოვლისა, უნდა ახსნას შლუზები ინფორმაციის თავისუფალი დინებისა და კრიტიკის უფლების უზრუნველსაყოფად. ეს გახლავთ არა გადაჭარბება, არამედ გაკვეთილი, რომელიც მოგვცა ისტორიულმა გამოცდილებამ. ინფორმაციის თავისუფლება და უფლება სხვაგვარად აზროვნებისა არის არა აბსტრაქტული პრინციპები, არამედ საკუთარი შეცდომების დაძლევისა და პროგრესის მოსურნე საზოგადოების უპირველესი აუცილებლობა...

ინფორმაციის თავისუფლებისა და მისი კრიტიკული შეფასების უზრუნველყოფა უნდა იყოს საფუძველი ნებისმიერი ხელისუფლების რეფორმატორული მოღვაწეობისა. სიტყვის თავისუფლება იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საზოგადოების ყოველ წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შემწეობით არსებული წეს-წყობილების კრიტიკისა. ამასთან, ეს ეხება არა მხოლოდ პოლიტიკასა და ეკონომიკას, არამედ შეიარაღებულ ძალებს, ეკლესიას, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორიცაა პროფკავშირები. და, რა თქმა უნდა, საკუთრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს". - მიუთითებს პერუელი მწერალი.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა თვალნათლივ მიუთითებს მსოფლიოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში გაბატონებულ აზრზე პრესის, სიტყვის თავისუფლების შესახებ: ის, თუ რაოდენ თავისუფალია ინფორმაციის მიღება და მისი მოსახლეობაში გავრცელება; ის, თუ რამდენად ძალმოსილია საზოგადოება გააკრიტიკოს ესა თუ ის მოქმედება (რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულთა მხილების ჩათვლით), არის ერთ-ერთი უპირველესი მახასიათებელი ამა თუ იმ მმართველობის ჭეშმარიტი არსისა. სწორედ ეს და ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებები გახლავთ უმთავრესი პირობა იმის განსაზღვრისას, შეიძლება თუ არა ამა თუ იმ ქვეყნის მმართველ ძალას ეწოდოს დემოკრატიული.

**ლევან ურუშაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამყარო დაკარგული რეალობის ძიებაში

"შექმნისთანავე ტელევიზიას ფოსტის მუშაკები და ინჟინრები დაესაკუთრნენ, ერთი სიტყვით, ჩინოვნიკებმა ჩაიგდეს ხელში ეს გამოგონება. ამ ჩინოვნიკების წყალობით არის, რომ ტელევიზია ყველგან სახელმწიფოს სამსახურში დგას. ცისფერი ეკრანი დღემდე მათ ხელშია. რატომღაც, თვითონ გადაწყვიტეს, რომ ემსახურებიან ინფორმაციას. ეს იმას ჰგავს, ფოსტალიონმა, ცუდმა ფოსტალიონმა რომ თქვას: "მე თავად დავწერ წერილებს, რადგან მე ვქმნი კომუნიკაციას. ადამიანებს აღარ ესაჭიროებათ წერა, მე ამას მათ ნაცვლად გავაკეთებ"... და შემდეგ ცუდი ფოსტალიონი ავრცელებს ცუდ წერილებს, რომლებსაც იგი თავად წერს. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს - ეს არის დამოუკიდებელი, სახალხო ტელე-კინოს გამოგონება".

| გოდარი

ჩაბნელებულ დარბაზში კლასიკური მუსიკის ჰანგები იღვრება. გარინდებული ქალ-ვაჟი გატაცებით უსმენს ორკესტრის კეთილხმოვანებას. მოულოდნელად ქალიშვილს სიცხე შეაწუხებს. მამაკაცის ერთი გადახედვა და ... ნეტარებით მომღიმარი ქალიშვილის ხელში მარაოსავით აფრიალდება დოლარები.

მამაკაცი (ცნობილი მსახიობი) ნერვიულად სცემს ბოლთას ვაკის პარკში. ...ი, მისი ფიქრის ობიექტიც გამოჩნდება. ...რძელფეხება, მშვენიერი მანდილოსანი ...ლაღად მიეგებება საყვარელ მამაკაცს. ...აცს ჯერ კიდევ არ განელებია სიბრაზე, მაგრამ გაიგებს თუ არა, რომ ...ატრფოს დაგვიანების მიზეზი "ოქროს ...ასის" აქციების შეძენა ყოფილა, უმალ გადაუვლის ბრაზი, ქალს ხელს გადახვევს და ბედნიერი წყვილი იმედიანად გაუყვება გზას ნათელი მომავლისკენ.

გახსოვთ, ალბათ, ეს ტრივიალური რეკლამები, დაუზარელი მონდომებით რომ ემსახურებოდნენ სხვადასხვა ბანკების საქმიანობის პოპულარიზაციას მოსახლეობის ფართო ფენებში. გავიდა ...ანი და აღმოჩნდა, რომ ეს და მსგავსი სარეკლამო დაპირებები ვერ გახდა ხალხისთვის აღთქმული, სიმდიდრის, პირადი ბედნიერებისა და კეთილდღეობის წყარო. ხოლო ის, ვინც გაბედა მინდობოდა მაცდუნებელ სარეკლამო გარანტიებს - გაძარცულ, მოტყუებულ, შეურაცხყოფილ და სასოწარკვეთილ მეა...ბრედ იქცა.

ამ თითქმის საერთო-ეროვნული გაწბილების მიუხედავად, ქართული ტელევიზია მაინც ცდილობს დაგვარწმუნოს თავისი მოქმედებების სიმართლესა და მიუკერძოებლობაში: იგი არ ...რის ფარ-ხმალს, არ ცნობს თავს შემცდარად ან მოტყუებულად და მხოლოდ მისთვის ჩვეული უტიფრობით ახალ-ახალი სიმაღლეების დასაპყრობად იღწვის. რად ღირს თუნდაც ერთ-ერთი ბოლო სარეკლამო მიგნება - საყოველთაოდ გახმაურებული ამერიკული ფილმის "ნათლია" ეროვნული (პროვინციული) ვარიანტი. უფრო ორიგინალური რეკლამის მოძიება თვით ყველაზე პრეტენზიულ მაყურებელსაც კი გაუჭირდება; ესეც ბანკის რეკლამაა: რეკლამისთვის დამახასიათებელი მარტივი, ლაკონური ხელწერით იხატება ასეთივე მარტივი, ლაკონური, აზრი: ბანკი კისრულობს ფინანსური მფარველობა გაუწიოს გარკვეული სოციალური ტიპის კატეგორიას - კლანს, ოჯახს; უზრუნველყოს მისი კეთილდღეობა და იდილიური სიმშვიდე. იგულისხმება, რომ კლანი თავის მხრივ მეურვეობას უწევს ბანკის ხელშეუხებლობას. რა უნდა იყოს უფრო საიმედო გარანტია, ვიდრე მაფიის ღია მფარველობა...მითუმეტეს სახელმწიფოში, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული მაფიის წინააღმდეგ.

დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმტკივნეულესი თემაა ტელევიზიისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. თანამედროვე პოპკულტურის განუყოფელ ნაწილს - ტელევიზორს - ბრალი ედება მაყურებელთა მასიურ დისკომუნიკაციასა და ინფორმაციულ დეზორიენტირებაში. რეკლამა უზარმაზარი გამოუსადეგარი ინფორმაციით ტვირთავს ადამიანს. შედეგი სავალალოა - აღარავის ახსოვს, რა ერქვა დონ-კიხოტის სახელგანთქმულ ცხენს, მაგრამ, რატომღაც, დანამდვილებით იცის, რომ ამერიკაში სიგარეტის ყველაზე ძველი ფირმაა "ლაქი სთრაიქ" (მადლობა ღმერთს, ქართველ მაყურებელს კიდევ შერჩენია ინტელექტის ნაშთები და ჯერჯერობით არ ეშლება, რომ ვენახი თხამ შეჭამა და არა მგელმა, ან ჟანგმა. ერთ-ერთი სატელევიზიო "ინტელექტუალური" ვიქტორინის სასიხარულო შედეგები დანამდვილებით ადასტურებს ჩვენი დაკვირვების სისწორეს).

ქართულ ტელევიზიას, წვრილმანი თუ მსხვილმანი ცრუპენტელობის გვერდით, ერთი სანუკვარი მიზანიც აქვს, მაყურებელს თავის მიერ შექმნილი რეალობა მოახვიოს; მის მაგივრად იფიქროს, მის მაგივრად იაზროვნოს და ნაბიჯ-ნაბიჯ დაავიწყოს ეროვნული გულისტკივილი, შენიღბოს ბრძნული პოლიტიკის შედეგად მიღწეული შემზარავი შედეგები, გაურთულოს სიმართლისკენ სავალი გზები, დაარწმუნოს, რომ მამულიშვილობისა და თავგანწირვის პროვინციულ აღმაფრენას ბევრად სჯობს სუპერმარკეტების, "ბაბილონების", "ბატას", "კრისტიან დიორების" ბრჭყვიალა და მოლიცლიცე ვიტრინები; ფაშისტურ ლოზუნგებზე, ყვირილზე და ფიურერის სურათებით მიტინგებზე წანწალს გაცილებით ჯობს დისკოთეკებზე და ღამის ელიტარულ კლუბებში დროს ტარება.

ცხოვრების ახალი წესის, ახალი გემოვნების, ახალი მოდის დანერგვისა და პოპულარიზაციის პარალელურად, სხვა უფრო დიდი ამოცანის განხორციელებასაც ემსახურება - ახალი იდეოლოგიის, ახალი მრწამსის დამკვიდრებას, ფასეულობათა ახალი შკალის შექმნას.

რად ღირს თუნდაც ჰოროსკოპებისა და ასტროლოგიური პროგნოზების გაცხოველებული ტირაჟირება...ამ ზოდიაქურ იდიოტიზმს საბოლოო ჯამში ერთადერთი ფუნქცია ეკისრება - დაარწმუნოს გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი, რომ ის სხვა ადამიანებთან, სამყაროსთან, თავისსავე საკუთარ თავთან დროითი განზომილების ნიშნით არის ჰარმონიული ან ანტაგონისტური პრინციპით დაკავშირებული და ამით სივრცობრივი ფასეულობების ნიველირება მოახდინოს, ერთი სიტყვით, როგორმე გააფერმკრთალოს ის ცნება, რომელსაც ეროვნული ფენომენი, ეროვნული ხასიათი, ეთნოფსიქოლოგია ჰქვია. თურმე ჩეჩენს და კორეელს მათი პიროვნული ან ეროვნული ინდივიდუალობა კი არ განასხვავებს ერთმანეთისგან, არამედ ასტროლოგიური შეუთავსებლობა - "ვირთხა" ვერაფრით ვერ ეგუება "კატას", "ღრიანკალი" - "ტყუპებს" და ა.შ.

მაყურებლის ინფორმაციული და ფაქტობრივი დეზორიენტირების კვალდაკვალ ხდება მისი იდეოლოგიური დამუშავება - ულმობლად ნაწევრდება სამყაროს ჰარმონიული მთლიანობა, ნამდვილად ღირებული იდეის ან ხატის გვერდით, სრულიად უმნიშვნელო ან აშკარად მავნებლური ტენდენციების აქცენტირება ხდება. ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს რუსთაველის სიბრძნე და ქუჩური ანეკდოტი ქალაქელ "კაი ბიჭებზე", არისტოკრატულად დახვეწილი "ჩაკრულოს" კეთილხმოვანება და ნახევრად გიჟი ავანგარდისტის საჯარო ბოდვა. ერთი და იგივე პათეტიზმით არის გაჟღენთილი სააღდგომო რეპორტაჟი საკათედრო ტაძრის საკურთხევლიდან და რომელიმე ექსტრასენსის ფენომენალური შესაძლებლობების სარეკლამო შოუ-წარმოდგენა.

ტელევიზია ანგრევს ადამიანის ცნობიერებას, აჭუცმაცებს მის აღქმას, აავადებს მასობრივ ფსიქოლოგიას აპათიით, გაურკვევლობით, ინდიფერენტიზმით. ეს საერთო - საკაცობრიო პრობლემაა, დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გლობალური სატკივარი.

შემთხვევითი არაა, რომ ისეთი ცნობილი რეჟისორების შემოქმედებაში, როგორებიც არიან ფელინი, ანტონიონი, გოდარი, განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა საუკუნის ამ პრობლემამ. ამ რეჟისორთა ფილმებში ტელევიზია იმდენად საგანგაშო, ავისმომასწავებელი, გამანადგურებელი მნიშვნელობით იტვირთება, რომ ლამის შთანთქას მაყურებელი, რომელიც, გაბრუებული ათასგვარი საეჭვო ღირებულების ინფორმაციით, ვეღარ აღწევს თავს რეკლამებისა თუ გასართობი პროგრამების მაცდუნებლად დახლართულ ურთულეს ქსელს. ამ კოლოსალური მანქანის ზემოქმედებისგან გზააბნეული მაყურებელი ვეღარ არკვევს სად გადის ზღვარი ჭეშმარიტ და ყალბ ფასეულობებს შორის, სად არის ნამდვილი და მოჩვენებითი რეალობა, სად წრფელი გრძნობაა და სად ფიქცია, სად სიბრძნე სუფევს და სად სიცრუე, რადგან ყველაფერი, რაც მის ბინაში სატელევიზიო ყუთიდან "იყრება", ყველაზე მშვენიერი, ყველაზე წარმტაცი, ყველაზე კომფორტული, ყველაზე სურნელოვანი, ყველაზე გემრიელი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე აუცილებელია - ქალის პირადი ჰიგიენის ნივთებით დაწყებული, თვითმფრინავში მორთმეული საუზმით დამთავრებული.

ამ ფონზე სულაც არ ჩანს საფუძველსმოკლებული ანტონიონის გააფთრება "ზაბრისკი პოინტის" ფინალურ სცენაში. დღევანდელობის კონტექსტში ეს ეპიზოდი წინასწარმეტყველური პოეტური ხილვის მნიშვნელობას იძენს: მძლავრი, ბირთვულთან მიახლოებული აფეთქების შედეგად იხლიჩება სამყარო. ჰაერში ადის ფეშენებელური ვილა, ტელევიზორი, კონსერვის ფერად-ფერადი ქილები, ავტომანქანა... ყოველივე ის, რაც სატელევიზიო რეკლამის აუცილებელ აქსესუარს შეადგენს და მე-20 საუკუნის ცხოვრების სტილს განასახიერებს. შემთხვევითი არ არის, რომ ეგზისტენციის ეს ფორმა ნივთებით გადატვირთულ უდაბნოსთან აქვს შედარებული რეჟისორს. სატელევიზიო მონსტრის მიერ შექმნილი რეალობა უდაბნოსავით ფიტავს, აშრობს ადამიანის სულს, აბეჩავებს მის ღირსებას, ახშობს მის ნამდვილ გრძნობებს, აუფასურებს განცდათა და ღირებულებათა ნამდვილ არსს. ფილმის ფინალური ეპიზოდი ანტონიონის ამბოხია იმ რეალობის წინააღმდეგ, რომელსაც წართმეულის სანაცვლოდ გვთავაზობენ.

საბედნიეროდ, საქართველოს ტელევიზიის დონე იმდენად დაბალია, რომ მიუხედავად ბეჯითი მეცადინეობისა, მას არ ძალუძს მაყურებლის ცნობიერებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მოხდენა. უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე დამაქცეველი. მისი ტექნიკური თუ შემოქმედებითი შესაძლებლობები სულ მთლად პრიმიტიული და უინტელექტო ადამიანის ცნობიერებას თუ გაუმკლავდება წარმატებით.

თანაც არსებობს დროის სპეციფიკაც, ღვთის წყალობით, ჩვენ ისეთ რეალობაში გვიხდება ცხოვრება, რომ ადამიანი ძალით თუ არ გაიბრიყვებს თავს, ყველაფერში ადვილია გარკვევა: საქართველოს დღევანდელობამ თითქმის გამორიცხა ცნებათა აღრევა - აქ ყოველივე ცხადი და ნათელია: სიკეთეს, ბოროტებას, სიყვარულს, მტრობას, ღალატს, ერთგულებას - ყველაფერს თავისი სახე და სახელი აქვს, განსხვავებით იმ სამყაროსგან, რომელიც ტერმინოლოგიური მირაჟით გაემიჯნა ნამდვილ რეალობას და დემოკრატიულ-ჰუმანურ ილუზიად აქცია მარილი თავისი არსობისა.

ოლღა იოსელიანი

# ჩვენი დროის არტისტული კაფეები

"იმ პერიოდში თბილისში მართლაც ბევრი თავშესაფარი ადგილი იყო, რომელთაც კაფეებს ეძახდნენ...

მახსოვს გოლოვინის პროსპექტზე... იყო კაფე, რომელსაც ერქვა "ფანტასტიკური ყავახანა"... სხვაც ბევრი ასეთი კაფე იყო თბილისში... მაგალითად "მფური ნუგეში", "არგონავტთა იალქანი", "ქიმერიონი"...

ყველა იმ სატკივარს შორის, რომელიც კი ოდესმე ცხოვრების გზაზე შემხვედრია, ერთ-ერთი ისიცაა, რომ ხელოვნების ეს შესანიშნავი ძეგლები ყოვლად უაზროდ გაჰქრა და დაიკარგა"

ლადო გუდიაშვილი

... მათ ნაცვლად კი გაიხსნა უთვალავი რაოდენობის ბისტრო და რესტორანი, ელიტარული დისკო-ბარი და ღია კაფე, რომლებიც განსაკუთრებულ კონტრასტს ქმნიან ყოველ ნაბიჯზე ქუჩაში ხელდახელოდ მოწყობილ თურქულ-ირანული სტილის ბაზრობების ფონზე - დღის ბოლოს ქალაქში ნაგვისა და კიდევ სხვა რამის სუნს რომ ტოვებს და ასე საუცხოოდ რომ ერევა ელიტარული კაფეებისკენ მიმავალ, ნახევრად შიშველი მანდილოსნების ძვირფასი სუნამოების არომატს,

რას იზამ, ასეთი ეკლექტიზმით ნიშანდებულ ეპოქაში გვიხდება ცხოვრება.

ტრადიციულად კი ასე იყო.

საქართველოში ყოველთვის ერთმანეთს ხვდებოდა აღმოსავლური და დასავლური ყოფა და ცივილიზაცია. მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ისინი ერთმანეთს ერწყმოდა და ქართული ყოფის ფონზე არასოდეს ტოვებდა მკვეთრ ანაბეჭდებს, რადგან ისტორიულად, ისე, როგორც დღეს, არასოდეს ყოფილა ესა თუ ის ახალი ტენდენცია განსაკუთრებული ეპატაჟურობით გამორჩეული.

სხვა ქვეყნებიდან შემოჭრილ კულტურებს, წესჩვეულებებს ქართულ სინამდვილეზე, ქართულ ტრადიციებზე არასოდეს მოუხდენიათ შესამჩნევი გავლენა. მათ არა თუ დამკვიდრების, არამედ ხანგრძლივად არსებობის მინიმალური შანსიც კი არ გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეზე განსაკუთრებული გავლენა ვერ მოახდინა ვერც არაბულმა და ვერც სპარსულმა სამყარომ, ვერც ბიზანტიამ და ვერც რუსეთმა. ქართულ კულტურას, ქართულ ცივილიზაციას არასოდეს დაუკარგავს ინდივიდუალობა. მაგრამ დადგა ჟამი ამერიკული სინამდვილით დაკომპლექსებულ ევროპასთან პირისპირ შეყრისა და ქართველი ერიც ერთგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

პირველ რიგში დასავლური ცივილიზაციის ექსპანსია ახალი თაობის ყოფაში აისახა, ხოლო მათი მენტალიტეტი დასავლური სტერეოტიპების თარგზე ჩამოყალიბდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ტენდენცია, რომელიც ამა თუ იმ ერისთვის ორგანული არ არის და ხელოვნურად მკვიდრდება, საბოლოო ჯამში, მანკიერ სახეს იღებს ან იაფფასიან შაბლონად იქცევა და თავისთავად ემიჯნება ნამდვილი ღირებულებით აღბეჭდილ, ნატიფ ფასეულობებს. ის, რაც დასავლურ ყოფაში ბუნებრივად აღიქმება, ჩვენში სასაცილოდ და პროვინციულად გამოიყურება და ეს განსაკუთრებით ხაზგასმულად იკვეთება იმგვარი თავშეყრის ადგილებში, ასე რომ მომრავლდა ბოლო დროს თბილისში.

მართლაც, დღისით თბილისს რომ გადახედო, გეგონება ყველაფერი ძველებურადაა, გაუბედურებული და გადაღლილი ხალხით, უამრავი მათხოვრით, ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანით სავსე ქუჩები უიმედოდ და ტრაგიკულად გამოიყურება. საღამო ჟამს კი, როდესაც ლუკმაპურის მოსაპოვებლად მთელი დღე ნაწანწალები ადამიანები თავიანთ სახლებს შეაფარებენ თავს, ქალაქს სულ სხვა იერი ეძლევა.

ღამის კაფეებსა და დისკოთეკებში თავს იყრიან აუდებსა და ბეემვეებში გამოჭიმული საყურეებიანი ქართველი ბიჭები საგანგებოდ გამოწყვეტად ჩაცმული ქართველი მანდილოსნების თანხლებით. ის ქართველი ბიჭები, რომლებსაც სულ არ გაუგიათ, რა ტრაგედია დატრიალდა მათ სამშობლოში, ან სულაც, ამ ტრაგედიის შემოქმედნი თვითონ არიან. ისინი ერთობიან, იქმნიან რესპექტის ილუზიას, ცდილობენ თავის თავს დაუმტკიცონ, რომ ნამდვილი ევროპელები არიან, რა ხანია, გაუცხოებულნი სამშობლოსგან, საკუთარი ეროვნებისგან, სარწმუნოებისგან; თავისუფალი მრწამსის, თავისუფალი აზროვნების თავისუფალი ადამიანები არწმუნებენ ერთმანეთს, რომ არაფერი უკვირთ: აღარც თავისუფალი სიყვარული, აღარც ნარკოტიკები, აღარც იარაღი და აღარც კაცისკვლა. ისინი გატაცებით თამაშობენ ამ როლს, იქნებ არც კი უწყიან, რომ მათი თავისუფლება მოჩვენებითია. ისინი საზარელ ტყვეობაში იმყოფებიან - კერპად ქცეული დასავლური ცივილიზაციის ტყვეობაში.

განსაცვიფრებელია, მაგრამ ამგვარი თავშეყრის ადგილებში ხშირია ჩხუბი, სროლა, მკვლელობა. განა რა არის იმის მიზეზი, რომ თავისუფალი ყოფის მაძიებელი ახალგაზრდები ერთმანეთში ვერ რიგდებიან. საქმე ის გახლავთ, რომ ეს რაციებიანი და ჟილეტიანი ბიჭები ქართველები არიან და ჩვეულებისამებრ, ვერ იტანენ თანმხლები მანდილოსნების შეურაცხყოფას ან საკუთარი მისამართით გამოთქმულ უშვერ სიტყვებს. ასეთ დროს მათ ავიწყდებათ, რომ "თავისუფლები" არიან, რომ ეროვნული ღირსება ჭიქა ლუდსა და კოკაკოლაში გაცვალეს, ხოლო საკუთარი სული წუთისოფლის საცდურების მსახურებისთვის განამზადეს და ისინი ხდებიან "ქართველები", "აზიელები", "ვაჟკაცები". ყოველდღე თითო ქართველის სიცოცხლე ეწირება ამაოების ამ სამწუხარო ბაკქანალიას.

ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ სახლებში ამ ახალგაზრდებს ელოდებიან ანერვიულებული და ღამენათევი მშობლები. საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად არიან მიეშველონ შვილებს, რომლებიც თვითონვე გაწირეს თავისი უმეცრებით ან უგნურობით: წაართვეს სამშობლო და მის სანაცვლოდ, მერსედესები აჩუქეს; წიგნების ნაცვლად, იარაღი უყიდეს, სათნოების მაგივრად, კომფორტის სიყვარული ჩაუნერგეს, მოუწამლეს და დაუმახინჯეს ცნობიერება.

ასეთია მათ მიერ იარაღით მოპოვებული დემოკრატიის მოკლე შინაარსი.

მათ შვილებს კი გულზე დიდი ხის ჯვრები ჰკიდიათ. ისინი ვერ გრძნობენ, რომ მათი სამშობლო განსაცდელშია, რომ მათ გვერდით მცხოვრებ ადამიანებს გაუსაძლისად უჭირთ. ვერ ხვდებიან, რომ არსებულმა რეჟიმმა ისინი გამოიყენა, ფიზიკურად და სულიერად წარწყმიდა, ახლა კი გამაბრუებელი მუსიკით და თვალისმომჭრელი დისკოთეკით ცდილობს ეს ტრაგიკული თაობა ჭეშმარიტი არსებობისგან გამიჯნოს და დაავიწყოს ყველაზე მთავარი ფასეულობანი - "ენა, მამული, სარწმუნოება".

გავა დრო და ერთ მშვენიერ დღეს მზე აღარ ამოვა... ღამის დისკოთეკაც უსასრულოდ გაგრძელდება. და როდესაც იქ თავმოყრილნი, ცეკვისა და ხმაურისგან გადაქანცულნი ყურს მიუგდებენ გამხმარი ბალახის შორეულ შრიალს, სინანულით აღმოაჩენენ, რომ ცხოვრებამ ისინი სამუდამოდ გაწირა უნაყოფო მიწის შემაძრწუნებელი მარტოობისთვის.

ქეთევან ქურდოვანიძე

**TAVISUPALI SAKARTVELO**
**(FREE GEORGIA)**
**N18 (1995)**
**in brief**

## Nemo Chanturia's Health is Again In Danger

As it became known to us, the political prisoner Nemo Chanturia who is kept in the Prison Republican Hospital, on August 14 declared a hunger-strike. The reason for this was the fact, that the supervisors searched him and unlawfully took away his personal belongings. The political prisoners demands that they are returned to him. A serious concern is caused by the fact that if Nemo Chanturia who has acute form of diabetes, continues his hunger strike this would be equal to the death sentence to him.

## The Chronic of the Failed Festive

### Buy, Buy, Buy ...Constitution

On August 24 the Parliament adopted the Project of Shevardnadze's Constitution. Parliamentary bargain yielded positive result for the authorities though not for Georgia. The following proved to be the arrangement of the forces: of registered 177 deputies - National-Democratic Party, Jaba Ioseliani and Vakhtang Begiashvili refused to participate in voting - 159 voted in favor and 8 including Ilia Chavchavadze's Society, Merab Kostava's Society and personally Temur Zhorzholiani as the only real monarchist in his party- were against the adoption of the Constitution.

So, as it should be expected, the absolute majority of the opposition readily gave in the principles declared by them, having probably gaining something instead. What specifically?! It should be something very important, since on the very next day even some of the deputies who were against the adoption of the Constitutions in the evening TV show "Sagamo Mshvidobisa" ("Good Evening") made public repentance and specially stressed outstanding virtues of already adopted Constitution. They explained their refusal to vote in favor of this document by disagreement with some issues, though they completely shared its spirit. We believe them.

Even more, they evidently do share the spirit of that not adopted part, which Shevardnadze so artfully removed (or to be more exact hid from the Parliament) not to turn the issue of the regional-federative arrangement of Georgia into the apple of discord at the pre-elections stage. And that is the very golden apple of the price of which are well aware both parties. Some consider Shevardnadze's decision to postpone the discussion of this chapter of the Constitution as a compromise on Shevardnadze's part, while in fact the Head of the State managed to block the opposition from the possibility to manipulate with this trump-card.

This tactic is undoubtedly justified when no principal disagreement exists between the opposed parties, the real cause of the conflict being only sharing of the booty. Who will get greater share is of importance only for the contesting robbers, all others will not benefit from it at all. And in case of Georgia the tragedy of the reality lies in the fact that these "others" implies the whole country.

## Monotony of Unscrupulousness

The romance of automatic machines and pea-jackets is replaced by respectability of tie and smoking, rattle of bullets - by the art of negotiations, decrees - by Constitution, and only the goal remains the same...

Official political specter is striving for one goal - to strengthen the authorities or the place under sun won at the price of blood and sin. This mutual goal unites both opposition and "position".

That is why one cannot help smiling when hearing the speculations of some non-Parliamentary Parties about the possibility of strengthening national interests within the state structures via the cooperation with the Parliamentary opposition. It is absolutely impossible already because the both parties of the official authorities - those who support Shevardnadze and those who oppose him - actually sprung up on one and the same basis and are of similar nature. They represent various forms, types or even various stages of one and the same process, trend and idea. The society of the revolutionary democracy is entering a new phase of its evolution, becomes more elaborate and is trying to act using relatively loyal methods and acquire more human and legal image. In short, the romance of automatic machines and pea-jackets is replaced by respectability of tie and smoking, rattle of bullets - by the art of negotiations, decrees - by Constitution, and only the goal remains the same ...

However, the society in general and especially devaluated society has a tendency to focus on the superficial, visible forms rather than on the real essence and content. That is why so many people demonstrated their wish to try on the effective smoking and get involved into the senseless and fruitless debates masked by profound speculations. And it was on this rich soil that the idea of universal union sprang up.

Profanation of the idea of national union and consolidation acquires the form of the dominating trend in the present day society. Why profanation?! Because on the union are dwelling those who had once forcibly destroyed this union and now are hunting for the votes in the oncoming elections rather then trying to unite around the idea of real national union directed to the prosperity of the nation.

In parallel to this is being developed the theory of using opposition for national interests, which is exactly the same illusion as the plan of using Shevardnadze. The last constitutional voting once more confirmed this, when some members of Parliament in contrast to previous vigorous promises given to the National Council happily joined their voices to the quire of the Parliamentary majority. However, unfortunately, the opposition political specter today more and more is sticking to the ideology of illusions and unscrupulousness. And by this is becoming homogeneous though by no means united.

The opponents may argue, that the idea of independence of Georgia was itself an illusion. By no means, and to the fact that it was quite realistic testifies for example the vigor with which nearly the whole world opposed this idea. Nobody fight the illusions with such violence. Illusions are fought in the way Shevardnadze is fighting against his Parliamentary opposition - mildly; paragraph after paragraph..,

*Mamuks Tusishvili*

## Could it be a Provocation?

What shall we wait for in the pre-elections period - some publicity "tricks" in the form of food products and power and gas supply or provocations which will allow the ruling elite to provide complete usurpation of the power via repression? This question which has already been asked and answered by some observers who do not exclude the possibility of both versions. To the opinion of the majority, the first version is less probable, since the authorities simply do not have the adequate resources sufficient to satisfy the population with long-time wished for services even for a short period thus creating the illusion of economic an social stabilization. To this also testify "reformistic" changes in Education and Health Care Systems. However creation of special pre-elections conditions may be expected at periphery, in some electoral districts and perhaps the whole regions (for example in the places of compact residence of the internally displaced people and ethnically different populations).

As for the provocations, this lever was always widely and with a greater effect used in the countries of "Bolshevik" type. Provocation provides the opportunity to terrorize, neutralize or even liquidate the competitive political forces. The examples of such time were and are quite abundant in our (and not only in our) present and recent history. Such experience was recently used by Armenian authorities also which before the elections put out their major opponent "Dashnak Party" of the way. What can happen in Georgia?

The experts do not exclude sudden and short-tome aggravation of the old ethnoconflicts. And this can supposedly happen on the background of realization of the conditions put forward by Russia - for example, a complete illusion of returning of internally displaced people to the places of their permanent residence may have be created, which would cause the aggression of the opposite party with respective results. And mutual danger is known to provide the basis for mobilization of all forces. nearly the same happened before the elections of October 11 when bringing troops into Abkhazia created the atmosphere of false enthusiasm and gave birth to the syndrome of Shevardnadze's irreplaceability.

Is not excluded also the possibility of creation of the new foci of ethnoconflicts which though may not acquire the form of military opposition can became the factor of a certain psychological pressure on the society.

Finally, the classic version - the rebel of the so-called "Zviadists" - in staging of which the present day authorities accumulated rather rich experience. This most effective way of exerting pressure on the domestic political forces provides another advantage of providing the possibility to unite the major opponent with the other forces within the present day authorities and expose them as being in alliance with "terrorist-Zviadists". Thus, the provocations are not excluded and the society should demonstrate special alertness today, when the boundary between the evil and good is progressively disappearing under the effect of inexorable time and triumph of human weakness.

***

On July 28, 1994 a revolting tragedy happened in Tbilisi; the criminals inflicted more than 30 wounds and then cut the throat of the mother of Tamriko Chovelidze, one of the victims of April 9, Mrs. Nina I. Tsamalashvili-Chovelidze. Sometime later the suspects were arrested. They confessed that they had committed the crime, for the lack of proofs of their being guilty they were released from the jail. Thus, the attempt to get the things moving failed, though the respective bodies continued to work and practically in no time the had arrested a group of 5 men and ...Paradoxical as it may be but they also confessed in committing this crime.

"*Alia*", *August, 1995. #41(50)*

## Peace-Making Forces in Chechnia

The relations between the federal forces of Russia and Chechnia experienced dramatic aggravation, The excited President of Russian Federation appealed to Georgia with the request to bring the peace-making troops between Russian and Dudaev's detachments. In the vicinities of Rkoni the process of formation of the peace-making regiment is already on.

"*Droni*", #29, 199[illegible]

It is well known there is a strong disagreement between the present day authorities of Georgia and Chechen Government. Georgian military forces which toady are associated with the image of Shevardnadze cannot carry out peace-making mission and it is quite probable that this will make a new base for a conflict between Georgia and Chechnia. It is likely that this is the true goal of the Russian authorities and their puppets.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia